მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზირი. №37, ს/კ 204557372

Address: Tbilisi, Rustaveli Avenue #37, ID 204557372

შპს "წინანდლის მამულები"

მმართველობითი ანგარიში

საწარმოს ბიზნესის მიმოხილვა

მმართველობითი ანგარიში - ბიზნეს მიმოხილვა 2019 წელი

1. საწარმოს ბიზნესის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

შპს „წინანდლის მამულები“ (შემდგომში "კომპანია") წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 204557372. კომპანია დარეგისტრირდა სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მიერ 2008 წლის 27 ივნისს და მდებარეობს საქართველოში.

კომპანიის რეგისტრირებული ოფისის მისამართია: რუსთაველის გამზირი №37, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქართველოში, წინანდლის რეგიონში სასტუმროს მართვა და ტურიზმის განვითარება რეგიონში. სასტუმრომ თავისი საქმიანობა 2018 წლის ბოლო მეოთხედში დაიწყო. 2019 წლის იანვრიდან, სასტუმრო ფუნქციონირებს "Radisson Collection" ბრენდის ქვეშ და მას მართავს "Radisson Hotels ApS Danmark", საერთაშორისო მართვის ხელშეკრულების ფარგლებში.

2019 წელს, კომპანიამ აღრიცხა 10,004 ათასი ლარის ოდენობით შემოსავალი და 408 ათასი ლარი 2018 წელს. ბიზნეს საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, მთლიანი შემოსავლის 49% ოთახების გაქირავებიდან გამომუშავდება, 48% - საკვების და სასმელის გაყიდვიდან, ხოლო დანარჩენი 3% სხვა შემოსავალს წარმოადგენს.

ზარალი 2019 ფინანსური წლისთვის შეადგენს 14,977 ათას ლარს, რაც 87%-ით მეტია 2018 წლის ზარალთან შედარებით (8,002 ათასი ლარი). ზარალის ზრდაში ძირითადი წვლილი ცვეთამ და ამორტიზაციამ შეიტანა, რომელიც წინა წელთან შედარებით 4,984 ათასი ლარით გაიზარდა. კიდევ ერთი ფაქტორი იყო სასტუმროს საქმიანობის დაწყება - 2019 წელს გაწეული დამატებითი ხარჯები, მაშინ როდესაც სასტუმროს შემოსავლები ჯერ კიდევ არასტაბილური იყო. ცვეთისა და ამორტიზაციის ზრდა უკავშირდება შემდეგს: 2018 წლის ბოლო მეოთხედში დასრულდა სამშენებლო პროცესი და სასტუმრომ ფუნქციონირება დაიწყო, შედეგად, კომპანიამ აქტივების ცვეთა დაიწყო. 2019 წლის განმავლობაში გადაფასების რეზერვი გაიზარდა 827 ათასი ლარით, მიწის გადაფასების შედეგად.

საწარმოს მომავალი განვითარების გეგმები;

2020 წელს, კომპანია ძირითადად ორიენტირებული იქნება გაყიდვების გაზრდასა და საოპერაციო მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე.
ბიზნეს საქმინობის ხასიათის გათვალისწინებით, არ არსებობს კონკრეტული განვითარების გეგმები გარდა ზოგადი ზრდის გეგმისა.

2. საწარმოს მიერ ჩატარებული კვლევა-განვითარების საქმიანობის მიმოხილვა;

2019 წელს, კომპანია არ იყო ჩართული არანაირ კვლევა-განვითარების საქმიანობებში.

3. ინფორმაცია საწარმოს ფილიალებზე

კომპანიას არ აქვს ფილიალები.

4. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლის ანალიზი არის შემდეგი:

		2019	**2018**
1	შემოსავალი	10,004,176	408,006
2	საოპერაციო საქმიანობების შედეგები	(8,194,001)	(5,615,309)
4	REVPAR*	101	45***
5	AHR**	331	227***

** შემოსავალის ფარდობა ხელმისაწვდომი ოთახების რაოდენობაზე*
*** ოთახში განთავსების საშუალო დღიური განაკვეთი*
**** 2018 წლის დეკემბრის მონაცემები*

ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლის ანალიზი არის შემდეგი:

	2019	**2018**
დაკავებულობა %	28%	20%***

(i) ურთიერთობა თანამშრომლებთან. კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა 148-165-მდე დიაპაზონში მერყეობს. კომპანიას აქვს კარგად სტრუქტურირებული დასაქმების პოლიტიკა და ხდება მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების დასაქმება კომპანიაში.

(ii) ურთიერთობა მომწოდებლებთან და კლიენტებთან. კომპანიას აქვს მყარი პროფესიონალური ურთიერთობები კლიენტებთან, მათთვის მზრუნველობის, ლოიალურობის და ხარისხიანი მომსახურების მიწოდების გზით.

(iii) ურთიერთობა საგადასახადო ორგანოსთან. კომპანიის საგადასახადო აღრიცხვის სისტემა კარგად არის მართული. კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილება დაკომპლექტებულია საგადასახადო კანონმდებლობის საკითხებში დიდი გამოცდილების მქონე თანამშრომლებით, რომლებიც რეგულარულად ესწრებიან სხვადასხვა საგადასახადო ტრენინგებს, რომლებიც ტარდება საქართველოში წამყვანი აუდიტორული კომპანიების მიერ, რათა გაეცნონ საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებს, რომლებსაც გავლენა აქვთ კომპანიაზე.

5. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2019 წელს კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა არ განხორციელებულა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხების დამატებითი განმარტებები

- კომპანიის წამყვანი პოზიცია ბაზარზე და მისი ძლიერი ფინანსური შედეგები განპირობებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორით:

- *მომსახურება და კლიენტთა კმაყოფილება* - როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომპანიის ხელმძღვანელობა საკმარის ყურადღებას უთმობს თანამშრომლების კვალიფიკაციას, რომლებიც კარგად მომზადებული პროფესიონალები არიან;
- *სასტუმროს ხელმძღვანელობა* - სასტუმროს ხელმძღვანელობას აქვს ინდუსტრიაში მუშაობის საკმარისი გამოცდილება და ის 100% -ით არის ჩართული ყოველდღიურ საქმიანობაში, რაც მას საშუალებას აძლევს თვალყური ადევნოს ბიზნესში მომხდარ ცვლილებებს და იყოს მოქნილი აღნიშნული ცვლილებების მიმართ;
- *ბრენდის ძალა და რეპუტაცია* - კომპანიამ შეძლო შეენარჩუნებინა ძლიერი ბრენდის სახელი ქართულ ბაზარზე, რაც აღიქმება ხარისხის, პროფესიონალიზმისა და სათანადო ზრუნვის სინონიმად.

- სასტუმროს საქმიანობის მართვის მიზნით, კომპანია ყოველწლიურად უხდის მართვის საფასურს "Rezidor Hotels U.K. Limited"-ს. მართვის საფასური არის ცვალებადი და განისაზღვრება სასტუმროს საოპერაციო შედეგების მიხედვით. 2019 წელს, მართვის საფასურმა 353 ათასი ლარი შეადგინა.

7. საწარმოს საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობისა და ფულადი სახსრების მოძრაობის რისკების და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა

საკრედიტო რისკი. კომპანიის გაყიდვების ძირითადი ნაწილი, კლიენტისთვის მომსახურების მიწოდებამდე, ნაღდი ანგარიშსწორებით ხორციელდება; შესაბამისად, კომპანიას არ აქვს პრობლემები მისაღები თანხების შეგროვებასთან დაკაშირებით.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საბრუნავი კაპიტალის მართვისა და მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებების გადახდის შედეგად. ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების დაკმაყოფილებისას, მათი დაფარვის ვადის დადგომისას. კომპანია შეძლებისდაგვარად ცდილობს ლიკვიდურობის მართვის უზრუნველყოფას, რათა ყოველთვის ჰქონდეს საკმარისი ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების ვადაში დასაფარად, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ სიტუაციებში, მიუღებელი დანაკარგების ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

კომპანიის შუალედურმა მშობელმა კომპანიამ, შპს "SRG Real Estate"-მა, მხარდაჭერის წერილის საშუალებით, გამოთქვა მისი განზრახვა, უახლოეს მომავალში უზრუნველყოს კომპანია ფინანსური და სხვა სახის მხარდაჭერით, როგორც ეს საჭირო იქნება კომპანიისთვის მისი საოპერაციო არსებობის გასაგრძელებლად.

8. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, საწარმოს მიზანი და პოლიტიკა ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები უკავშირდება შემდეგს:

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების გამო.

კომპანია ექვემდებარება მოქმედი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე. სავალუტო რისკთან მიმართებაში,

ხელმძღვანელობა ადგენს საზღვრებს დაქვემდებარების დონეზე ვალუტების მიხედვით და ჯამურად. პოზიციების მონიტორინგი ყოველთვიურად ხორციელდება.

პოლიტიკური რისკები. არასტაბილურ პოლიტიკურ გარემოს შეიძლება უარყოფითი გავლენა ჰქონდეს პორდუქტებზე არსებულ მოთხოვნაზე, შემოსავლებზე და მომგებიანობაზე. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება პოლიტიკური გარემოს განვითარებას, პოტენციური განვითარებისა და პოტენციური საფრთხეების პროგნოზირებისა და შესაბამისი ქმედებების განსახორციელებლად.

სტუმრის ქცევა. საჩივრები ადამიანებისგან რომლებმაც დაზიანებები მიიღეს ან სასტუმროს ოთახებისთვის მიყენებული ზიანი, შეიძლება დიდ რისკს წარმოადგენდეს სასტუმროს ბიზნესისთვის. სასტუმროს აქვს შიდა კონტროლის სისტემა სტუმრების მიერ მიყენებული ზიანის თავიდან ასარიდებლად და მოგზაურთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მათი სასტუმროში ვიზიტის დროს.

მონაცემთა უსაფრთხოების რისკი. სასტუმრო აგროვებს უამრავ ინფორმაციას მათი სტუმრების შესახებ (სახელები, მისამართები, საკრედიტო ბარათის ინფორმაცია და ა.შ.), რაც სასტუმროს ბიზნესს კიბერ კრიმინალების და ჰაკერების პოპულარულ სამიზნედ აქცევს. კომპანია, დავალებების ავტომატურ რეჟიმში შესასრულებლად და მონაცემთა სამართავად ციფრულ სისტემას იყენებს, რაც მინიმუმამდე ამცირებს სისტემის გატეხვის პოტენციურ რისკს.

საბაზრო რისკი კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიშვება ღია პოზიციებიდან ა) უცხოურ ვალუტებში, ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში და გ) კაპიტალის ინვესტიციებში, რომლებიც ექვემდებარება ზოგად და კონკრეტულ მოძრაობებს ბაზარზე. ხელმძღვანელობა ადგენს დასაშვები რისკის ოდენობის საზღვრებს, რომელთა მონიტორინგი ყოველდღიურად ხორციელდება. თუმცა, აღნიშნული მიდგომის გამოყენება არ გამორიცხავს ზარალს აღნიშნულ ფარგლებს გარეთ, მეტად არსებითი საბაზრო მოძრაობების შემთხვევაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანია ექვემდებარება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მოქმედ დონეებში ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

9. COVID-19-ის გავლენა კომპანიაზე

ჩვენ განვიხილეთ COVID-19-ის (კორონავირუსის) პანდემიის გავრცელება და მისი მიმდინარე და სამომავლო პოტენციური გავლენა კომპანიაზე. ჩვენ მიგვაჩნია, რომ COVID-19-ის აფეთქება არის არამაკორექტირებელი, საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენა, რომელსაც არ აქვს გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებაზე 2019 წლის 31 დეკემბრისთვის ან აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის.

ჩვენ შევაფასეთ პოტენციური გავლენა კომპანიაზე და შევიტანეთ შესაბამისი ახსნა-განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ყველა ის საკითხი, რომელთა შესახებაც ჩვენთვის ცნობილია, რომელიც უკავშირდება კომპანიის უნარს განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ, მათ შორის ყველა არსებითი პირობა და მოვლენა, შემამსუბუქებელი ფაქტორები და კომპანიის გეგმები, მათ შორის COVID-19-ის პოტენციური შედეგები. კომპანიას ასევე აქვს განზრახვა და უნარი განახორციელოს მოქმედი საწარმოს პირნციპით საქმიანობის გაგრძელებისთვის აუცილებელი ქმედებები.

კომპანიის ხელმძღვანელობამ განახორციელა შემდეგი დაუყოვნებელი ქმედებები იმის უზრუნველსაყოფად, რომ COVID -19-ის გავლენა კომპანიაზე იქნებოდა მინიმალური და რომ კომპანია განაგრძობდა ფუნქციონირებას მოქმედი საწარმოს პრინციპის მიხედვით:

- თანამშრომელთა ხარჯები შემცირდა 2020 წლის მარტიდან.
- ბანკების მიმართ არსებული დაუფარავი სესხების პირობები და გრაფიკი იქნა გადახედილი. ხელშეკრულების პირობებში გათვალისწინებულია ძირი თანხის დაფარვის საშეღავათო პერიოდი, 2021 წლის იანვრამდე და პროცენტის დაფარვა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას იმ დროისთვის ექნება თავისუფალი ფულადი სახსრები. პროცენტის საშეღავათო პერიოდი გაგრძელდება 2021 წლის იანვრამდე.

2020 წლის ივლისში კომპანია განაგრძობდა მის ყოველდღიურ საქმიანობას. ზემოაღნიშნულის მიხედვით, ჩვენ გვჯერა, რომ კომპანიას აქვს განზრახვა და უნარი განახორციელოს მოქმედი საწარმოს პრინციპით საქმიანობის გაგრძელებისთვის აუცილებელი ქმედებები.

_____

გიორგი ხარაბაძე
დირექტორი

თარიღი: 1 დეკემბერი 2020 წელი

კომპანიის ხელმძღვანელობამ განახორციელა შემდეგი დაუყოვნებელი ქმედებები იმის უზრუნველსაყოფად, რომ COVID -19-ის გავლენა კომპანიაზე იქნებოდა მინიმალური და რომ კომპანია განაგრძობდა ფუნქციონირებას მოქმედი საწარმოს პრინციპის მიხედვით:

- თანამშრომელთა ხარჯები შემცირდა 2020 წლის მარტიდან.
- ბანკების მიმართ არსებული დაუფარავი სესხების პირობები და გრაფიკი იქნა გადახედილი. ხელშეკრულების პირობებში გათვალისწინებულია ძირი თანხის დაფარვის საშეღავათო პერიოდი, 2021 წლის იანვრამდე და პროცენტის დაფარვა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას იმ დროისთვის ექნება თავისუფალი ფულადი სახსრები. პროცენტის საშეღავათო პერიოდი გაგრძელდება 2021 წლის იანვრამდე.

2020 წლის ივლისში კომპანია განაგრძობდა მის ყოველდღიურ საქმიანობას. ზემოაღნიშნულის მიხედვით, ჩვენ გვჯერა, რომ კომპანიას აქვს განზრახვა და უნარი განახორციელოს მოქმედი საწარმოს პრინციპით საქმიანობის გაგრძელებისთვის აუცილებელი ქმედებები.

გიორგი ხარაბაძე
დირექტორი

თარიღი: 1 დეკემბერი 2020 წელი

შპს „წინანდლის მამულები“

2019 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10

შპს "KPMG Georgia"
ჯი ემ თი პლაზა
მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4
თბილისი, საქართველო 0105
ტელეფონი +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „ჭინანდლის მამულების“ მესაკუთრეებს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ჭინანდლის მამულების“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას მითითებული თარიღისთვის დასრულებული წლისთვის, და მნიშვნელოვან საღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგებების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით), ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, ჩვენ ვართ „კომპანიისგან“ დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაბამის საფუძველს.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობით ანგარიშზე. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი დასკვნა არ მოიცავს „მმართველობით ანგარიშს“.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს „მმართველობითი ანგარიშის“ წაკითხვას და იმის განსაზღვრას, არის თუ არა „მმართველობითი ანგარიში“ არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან მიმართებაში, ან სხვაგვარად ხომ არ მოიცავს არსებით უზუსტობებს.

შპს “KPMG Georgia”, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited.

ჩვენ არ გავცემთ რაიმე სახის რწმუნებას „მმართველობითი ანგარიშის“ შესახებ. ჩვენ წავიკითხეთ „მმართველობითი ანგარიში“ და ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვენით, რომ „მმართველობითი ანგარიში“:

- შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას და არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელიც მოთხოვნილია და შეესაბამება „საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“.

ხელმძღვანელობის და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომელსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მმართველობაზე უფლებამოსილი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მივიღოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შეცდომის ან თაღლითობის შედეგად გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორთა დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდნენ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი, რომ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მართებულია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულებელყოფას.

— ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
— ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
— გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში, ან თუ შესაბამისი განმარტებითი შენიშვნა არასაკმარისი იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის უნარზე განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ.
— ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

აუდიტის პარტნიორი, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

ნათია თევზაძე

შპს „KPMG Georgia“
თბილისი, საქართველო
1 დეკემბერი, 2020 წელი

ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	86,807,940	88,555,242
არამატერიალური აქტივები		528,287	501,204
აქტივები გამოყენების უფლებით	5	488,361	-
ავანსები მშენებლობისთვის		155,247	1,391,694
სულ გრძელვადიანი აქტივები		**87,979,835**	**90,448,140**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		847,050	623,928
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	281,364	1,194,506
საგადასახადო აქტივი	10	302,787	2,768,137
შეზღუდული ფულადი სახსრები	11	-	265,000
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	1,035,716	6,721,879
სულ მიმდინარე აქტივები		**2,466,917**	**11,573,450**
სულ აქტივები		**90,446,752**	**102,021,590**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი	12		
საწესდებო კაპიტალი		80,935,295	71,614,319
დამატებით გადახდილი კაპიტალი		1,168,333	1,168,333
გადაფასების რეზერვი		980,381	153,614
დაგროვილი ზარალი		(29,432,154)	(14,454,912)
სულ კაპიტალი		**53,651,855**	**58,481,354**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	14	26,906,095	26,534,143
სულ გრძელვადიანი აქტივები		**26,906,095**	**26,534,143**
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	14	2,254,310	5,652,586
საიჯარო ვალდებულება	5	501,048	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	7,133,444	11,353,507
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**9,888,802**	**17,006,093**
სულ ვალდებულებები		**36,794,897**	**43,540,236**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**90,446,752**	**102,021,590**

*კომპანიამ თავდაპირველად ფასს 16 2019 წლის 1 იანვრიდან გამოიყენა. შერჩეული გადასვლის მეთოდის ფარგლებში, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული. იხილეთ შენიშვნა 5.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების ნაწილს წარმოადგენენ და განთავსებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების 10 - 40 გვერდებზე.

ლარი	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი	6	10,004,176	408,006
სასტუმროს ოპერირების ხარჯები	7	(7,681,633)	(3,120,351)
ხელფასები და სხვა თანამშრომელთა სარგებელი		(4,330,650)	(1,508,353)
ცვეთა და ამორტიზაცია		(6,455,681)	(1,471,449)
სხვა შემოსავალი		269,787	76,838
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		**(8,194,001)**	**(5,615,309)**
ფინანსური ხარჯები	14(b)	(4,177,219)	(584,870)
უცხოური გაცვლითი კურსის წმინდა ზარალი		(2,606,022)	(1,801,910)
წმინდა ფინანსური ხარჯები		**(6,783,241)**	**(2,386,780)**
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**(14,977,242)**	**(8,002,089)**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
ზარალი წლის განმავლობაში		**(14,977,242)**	**(8,002,089)**
სხვა სრული შემოსავალი			
ერთეულები, რომლებიც არასოდეს არ აიქნება რეკლასიფიცირებული მოგებაში ან ზარალში			
მიწის გადაფასება		826,767	-
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		**826,767**	-
ზარალი და სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში		**(14,150,475)**	**(8,002,089)**

*კომპანიამ თავდაპირველად ფასს 16 2019 წლის 1 იანვრიდან გამოიყენა. შერჩეული გადასვლის მეთოდის ფარგლებში, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული. იხილეთ შენიშვნა 5.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 1 დეკემბერს და მისი სახელით ხელმოწერილია:

გიორგი ხარაბაძე
დირექტორი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების ნაწილს წარმოადგენენ და განთავსებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების 10 - 40 გვერდებზე.

ლარი	საწესდებო კაპიტალი	დამატებით გადახდილი კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	**34,873,282**	**1,168,333**	**(6,452,823)**	**153,614**	**29,742,406**
სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში					
ზარალი წლის განმავლობაში	-	-	(8,002,089)	-	(8,002,089)
ოპერაციები მესაკუთრეებთან					
მესაკუთრეების შენატანი (შენიშვნა 12(a))	36,741,037	-	-	-	36,741,037
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**71,614,319**	**1,168,333**	**(14,454,912)**	**153,614**	**58,481,354**
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს*	**71,614,319**	**1,168,333**	**(14,454,912)**	**153,614**	**58,481,354**
სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში					
ზარალი წლის განმავლობაში	-	-	(14,977,242)	-	(14,977,242)
მიწის გადაფასება	-	-	-	826,767	826,767
ოპერაციები მესაკუთრეებთან					
მესაკუთრეების შენატანი (შენიშვნა 12(a))	9,320,976	-	-	-	9,320,976
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**80,935,295**	**1,168,333**	**(29,432,154)**	**980,381**	**53,651,855**

*კომპანიამ თავდაპირველად ფასს 16 2019 წლის 1 იანვრიდან გამოიყენა. შერჩეული გადასვლის მეთოდის ფარგლებში, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული. იხილეთ შენიშვნა 5.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების ნაწილს წარმოადგენენ და განთავსებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების 10 - 40 გვერდებზე.

ლარი	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(14,977,242)	(8,002,089)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		6,455,681	1,471,449
ფინანსური ხარჯები		4,177,219	584,870
უცხოური გაცვლითი კურსის ზარალი		2,606,022	1,801,910
		(1,738,320)	**(4,143,860)**
ცვლილებები:			
მარაგებში		(223,122)	(346,526)
შეზღუდულ ფულად სახსრებში		265,000	(265,000)
საგადასახადო აქტივებში		2,465,350	(1,041,408)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		44,200	(161,165)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(486,733)	970,932
საოპერაციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები პროცენტის და საკომისიოს გადახდამდე		**326,375**	**(4,987,027)**
გადახდილი პროცენტი	14	(3,960,916)	(1,331,967)
გადახდილი საკომისიო		(20,894)	(223,283)
საოპერაციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(3,655,435)**	**(6,542,277)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(6,576,447)	(53,532,411)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(120,539)	(509,699)
შემოსულობები ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		896,900	-
საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(5,800,086)**	**(54,042,110)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან			
სესხების დაფარვა	14	(7,748,645)	(231,254)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	14	(664)	-
შემოსულობები სესხებიდან	14	2,210,975	29,628,370
მესაკუთრეების შენატანები	12	9,320,976	36,741,037
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობებიდან		**3,782,642**	**66,138,153**
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		**(5,672,879)**	**5,553,766**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		6,721,879	946,367
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(13,284)	221,746
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	11	**1,035,716**	**6,721,879**

*კომპანიამ თავდაპირველად ფასს 16 2019 წლის 1 იანვრიდან გამოიყენა. შერჩეული გადასვლის მეთოდის ფარგლებში, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული. იხილეთ შენიშვნა 5.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების ნაწილს წარმოადგენენ და განთავსებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების 10 - 40 გვერდებზე.

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(a) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(b) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს „წინანდლის მამულები“ (შემდგომში, „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას “მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად და კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 204557372. კომპანია დარეგისტრირდა სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მიერ 2008 წლის 27 ივნისს და ის მდებარეობს საქართველოში.

კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს რუსთაველის გამზირზე N37-ში, თბილისი საქართველო.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქართველოში, წინანდლის რეგიონში „Radisson Collection Hotel, Tsinandali Estate Georgia“-ს (შემდგომში, "სასტუმრო") მართვა და რეგიონში ტურიზმის განვითარება. სასტუმრომ ფუნქციონირება 2018 წლის ბოლო მეოთხედში დაიწყო. სასტუმრო მუშაობს „Radisson Collection“ ბრენდის ფარგლებში და მას მართავს „Radisson Hotels ApS Danmark“, საერთაშორისო მართვის ხელშეკრულების საფუძველზე.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისთვის, კომპანიის საკუთრების სტრუქტურა არის შემდეგი:

	საკუთრების სტრუქტურა, %	
მესაკუთრეები	**2019**	**2018**
შპს „წინანდლის სავანე“	66.57%	54.49%
სს „საპარტიონო ფონდი“	33.43%	45.51%
	100%	**100%**

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისთვის, კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე იყო ფიზიკური პირი, გიორგი რამიშვილი. 2020 წელს, კომპანიის შუალედური მშობელი კომპანია იქნა რეორგანიზებული, რის შედეგადაც, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად ნებადართვის თარიღისთვის, კომპანიას აღარ ჰყავს საბოლოო მაკონტროლებელი მხარე. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია მე-19-ე შენიშვნაში.

2. აღრიცხვის საფუძველი

(a) შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს-ები) სრულ შესაბამისობაში.

ეს არის კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგების ნაკრები სადაც გამოყენებულია ფასს 16 „იჯარები“. ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში აღწერილია მე-5 შენიშვნაში.

(b) უწყვეტი ფუნქციონირება

მიუხედავად მიმდინარე COVID-19-ის მდგომარეობისა (იხილეთ შენიშვნა 23), ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის მიხედვით, რომელსაც კომპანიის ხელმძღვანელობა შესაფერისად მიიჩნევს შემდეგი მიზეზების გამო.

კომპანიის ხელმძღვანელობამ მოამზადა ფულადი ნაკადების პროგნოზი წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღის შემდეგ 12-თვიანი პერიოდისთვის, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ გონივრულად შესაძლებელი მოვლენათა უარყოფითი განვითარებების გათვალისწინებით, კომპანიას ექნება საკმარისი ფულადი სახსრები, მისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად მათი დაფარვის ვადის დადგომისას, აღნიშნული პერიოდისთვის.

პროგნოზები აკეთებს დაშვებას, რომ სასტუმროს ოპერაციები უკვე განახლდა და მოსალოდნელია, რომ გაიზარდოს ეტაპობრივად და რომ 2020 წელს კომპანიამ წარმატებით დაასრულა მოლაპარაკებები სს „თიბისი ბანკთან“ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდების გადავადებაზე მიმდინარე საკრედიტო ხაზების ფარგლებში (იხილეთ შენიშვნა 23). აღნიშნული პროგნოზები ასევე ითვალისწინებს, რომ ნაკლებად სავარაუდო მოვლენათა უარყოფითი განვითარების შემთხვევაში, კომპანიის შუალედური მშობელი კომპანია, შპს „SRG Real Estate“ კომპანიას და მასთან დაკაშირებულ მხარეებს, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ფინანსური მხარდაჭერით უზრუნველყოფს. შპს „SRG Real Estate“-მა გამოთქვა განზრახვა, რომ პროგნოზებით გათვალისწინებული პერიოდისთვის გააგრძელოს მსგავსი ფულადი სახსრების უზრუნველყოფა, კომპანიის საჭიროებისამებრ. ისევე როგორც ნებისმიერი სხვა კომპანია, რომელსაც ფინანსური მხარდაჭერისთვის ჯგუფის სხვა საწარმოების იმედი აქვს, დირექტორები აცნობიერებენ, რომ შეუძლებელია იყვნენ დარწმუნებულნი იმაში, რომ აღნიშნული მხარდაჭერა გაგრძელდება, თუმცა, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის, მათ არ აქვთ მიზეზი იფიქრონ, რომ აღნიშნული მხარდაჭერა არ გაგრძელდება. გარდა ამისა, აქციონერები გამოხატავენ მათ მიმდინარე მხარდაჭერას კომპანიის მიმართ, მათი სააქციო კაპიტალის რეგულარული ზრდის გზით, იხილეთ შენიშვნა 12.

ამ და სხვა დაშვებების მიხედვით, ხელმძღვანელობს სჯერა, რომ კომპანიას ექნება საკმარისი ფულადი სახსრები, რომ დააკმაყოფილოს მისი ვალდებულებები მათი დაფარვის ვადის დადგომისას, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღიდან სულ მცირე 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში და შესაბამისად მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის საფუძველზე. ხელმძღვანელობას ასევე სჯერა, რომ არ არსებობს არსებითი გაურკვევლობა უწყვეტი ფუნქციონირების დაშვებასთან დაკაშირებით.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც ასევე კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს და ვალუტას რომელშიც წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება არის წარმოდგენილი. ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარში, გარდა სხვაგვარად მითითებულისა.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

(a) ფასს-თან შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

სააღრიცხვო შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგად გამოწვეული ცვლილებები, აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაში კრიტიკული მსჯელობების შესახებ ინფორმაცია, რომელსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განხილულია შემდეგ შენიშვნაში:

- შენიშვნა 2(b) – უწყვეტი ფუნქციონირების შეფასება;
- შენიშვნა 21(e) – ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები;

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს ისეთი დაშვებები და შეფასების გაურკვევლობები, რომლებიც წარმოადგენს, შემდეგ ფინანსურ წელიწადში არსებითი კორექტირების რისკს.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

კომპანიის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და ინფორმაცია საჭიროებს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას, როგორც ფინანსური, ისე - არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის. სამართლიანი ღირებულებების განსაზღვრა განხორციელდა შეფასებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზნებისთვის.

სამართლიანი ღირებულებები დაჯგუფებულია სხვადასხვა დონეების მიხედვით, სამართლიანი ღირებულების იერარქიაში იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც გამოყენებულია შეფასების მეთოდოლოგიაში შემდეგი სახით:

- *დონე 1*: კოტირებული საბაზრო ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.
- *დონე 2*: შემავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც შესულია პირველ დონეში და რომლებიც ხელმისაწვდომია აქტივისა და ვალდებულებისთვის, როგორც პირდაპირ (მაგ. ფასები), ასევე ირიბად (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- *დონე 3*: მონაცემები აქტივისა და ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლოა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონეებში, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 8(b) – მიწის გადაფასება;
- შენიშვნა 16(a) – ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება.

5. ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში

გარდა ქვემოთ წარმოდგენილი ცვლილებებისა, კომპანია თანმიმდევრულად იყენებდა სააღრიცხვო პოლიტიკებს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

ფასს 16

კომპანიამ თავდაპირველად ფასს 16 2019 წლის 1 იანვრიდან გამოიყენა.

ფასს 16-ს შემოაქვს ერთიანი, საბალანსო იჯარების აღრიცხვის მოდელი მოიჯარეებისთვის. რაც ნიშნავს რომ მოიჯარე აღიარებს აქტივებს გამოყენების უფლებით, რაც ასახავს მის უფლებას გამოიყენოს აღნიშნული აქტივები და საიჯარო ვალდებულებებს, რაც ასახავს მის ვალდებულებას განახორციელოს საიჯარო გადახდები. მეიჯარეს ანგარიშგება რჩება მსგავსი ადრე გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკებისა. კომპანიამ მიიღო ფასს 16-ი მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით და აქტივი გამოყენების

უფლებით შეაფასა საიჯარო ვალდებულების ტოლი ოდენობით (კორექტირებული ავანსებით და დარიცხვებით). შესაბამისად, 2018 წლისთვის წარმოდგენილი შესადარისი ინფორმაცია არ ყოფილა გადაანგარიშებული - ანუ წარმოდგენილია ადრე აღრიცხულის შესაბამისად, ბასს 17-ის და დაკავშირებული ინტერპრეტაციების ფარგლებში. სააღრიცხვო პოლიტიკების ცვლილებების დეტალები განმარტებულია ქვემოთ. ამასთანავე, ფასს 16-ის განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნები არ ყოფილა გამოყენებული შესადარის ინფორმაციაზე.

(a) იჯარის განმარტება

ადრე, კომპანია ხელშეკრულების დადებისას განსაზღვრავდა იყო თუ არა ან შეიცავდა თუ არა გარიგება იჯარას ბასს 17 *იჯარების* და ფასიკ 4 *როგორ განვსაზღროთ შეიცავს თუ არა გარიგება იჯარას* - ფარგლებში. კომპანია ამჟამად აფასებს, არის თუ არა ან შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას იჯარის ახალი განმარტების მიხედვით, როგორც წარმოდგენილია შენიშვნაში 21(f).

ფასს 16-ზე გადასვლისას, კომპანიამ გარიგებების იჯარებად კლასიფიკაციისთვის პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება აირჩია. კომპანიამ ფასს 16 მხოლოდ ადრე იჯარებად კლასიფიცირებულ ხელშეკრულებებთან მიმართებაში გამოიყენა. ხელშეკრულებები, რომლებიც არ იყო კლასიფიცირებული იჯარებად ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის ფარგლებში, არ ყოფილა ხელახლა შეფასებული იჯარის არსებობაზე ფასს 16-ის ფარგლებში. მაშასადამე, იჯარის განმარტება ფასს 16-ის ფარგლებში გამოყენებულ იქნა მხოლოდ 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დადებულ ან შეცვლილ ხელშეკრულებებზე.

(b) როგორც მოიჯარე

კომპანიის საიჯარო ხელშეკრულებები ძირითადად უკავშირდება სასტუმროს გარშემო მდებარე მიწასა და შენობებს.

ადრე კომპანია, როგორც მოიჯარე, იჯარებს აკლასიფიცირებდა საოპერაციო იჯარების სახით მისი შეფასების მიხედვით იმისა, გადასცემდა თუ არა იჯარა კომპანიას შესაბამისი აქტივის მფლობელობის არსებითად ყველა რისკსა და ანაზღაურებას. ფასს 16-ის ფარგლებში, კომპანია აღნიშნული იჯარების უმეტესობისთვის აღიარებს აქტივებს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებებს - ანუ აღნიშნული იჯარები არის საბალანსო.

ორივე, აქტივები გამოყენების უფლებით და ასევე დაკავშირებული საიჯარო ვალდებულებები, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია ცალკე მუხლების სახით.

იჯარების დაფარვის ვადის ანალიზი განმარტებულია შენიშვნაში 16(b)(iii).

(i) ბასს 17-ის ფარგლებში საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებული იჯარები

ადრე, კომპანია ქონების იჯარებს, ბასს 17-ის ფარგლებში, საოპერაციო იჯარებად აკლასიფიცირებდა. აღნიშნული იჯარებისთვის, ფასს 16-ზე გადასვლისას, საიჯარო ვალდებულებები შეფასდა დარჩენილი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, დისკონტირებული კომპანიის 2019 წლის 1 იანვარს არსებული მზარდი სასესხო განაკვეთით. აქტივები გამოყენების უფლებით ფასდება საიჯარო ვალდებულების ტოლი ოდენობით, კორექტირებული ნებისმიერი წინასწარ გადახდილი ან დარიცხული საიჯარო გადახდების ოდენობით.

(c) გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე

გავლენა გადასვლისას

ფასს 16-ზე გადასვლისას, კომპანიამ საიჯარო ვალდებულების ტოლი ოდენობით აღიარა დამატებითი აქტივები გამოყენების უფლებით. ფასს 16-ზე გადასვლის გავლენა შეჯამებულია ქვემოთ:

ლარი	1 იანვარი 2019
აქტივები გამოყენების უფლებით – ძირითადი საშუალებები	501,712
საიჯარო ვალდებულებები	(501,712)

საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებული იჯარებისთვის საიჯარო ვალდებულებების შეფასებისას, კომპანიამ განახორციელა საიჯარო გადახდების დისკონტირება მისი 2019 წლის 1 იანვარს არსებული, მზარდი სასესხო განაკვეთის გამოყენებით. გამოყენებული საშუალო შეწონილი განაკვეთი არის 14.86% ლარში დენომინირებული იჯარებისთვის. კომპანიას არ აქვს ლარის გარდა სხვა ვალუტაში დენომინირებული საიჯარო ხელშეკრულებები.

გავლენა წლის განმავლობაში

ფასს 16-ის გავლენა 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგებაზე იყო შემდეგი:

ლარი	მიწა და შენობები
აქტივები გამოყენების უფლებით	
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	501,712
ცვეთის დარიცხვა წლის განმავლობაში	(13,351)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	488,361
საიჯარო ვალდებულება	
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	(501,712)
პროცენტის დარიცხვა	(74,336)
საიჯარო ვალდებულების გადახდები	75,000
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	(501,048)

მოგებაში ან ზარალში აღიარებული ოდენობები

	2019
2019 – იჯარები ფასს 16-ის ფარგლებში	
პროცენტი საიჯარო ვალდებულებებზე	(74,336)
2018 – საოპერაციო იჯარები ბასს 17-ის ფარგლებში	
საიჯარო ხარჯი	(185,087)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში აღიარებული ოდენობები

საიჯარო ვალდებულების გადახდები	(664)
გადახდილი პროცენტი	(74,336)
სულ ფულადი სახსრების გადინება იჯარებისთვის	**(75,000)**

6. შემოსავალი

ლარი	2019	2018
შემოსავალი ოთახების გაქირავებიდან	4,917,108	107,589
შემოსავალი საკვებ-სასმელის გაყიდვიდან	4,791,482	296,736
სხვა შემოსავალი	295,586	3,681
	10,004,176	**408,006**

7. სასტუმროს საოპერაციო ხარჯები

ლარი	2019	2018
მარაგების თვითღირებულება	1,959,429	425,282
კონტრაქტორებზე გადასახდელი მომსახურების საფასური	1,153,300	613,632
გადასახადები. მოგების გადასახადის გარდა	901,692	490,923
კომუნალურები	861,540	148,596
მარაგები	648,248	19,681
მარკეტინგი	622,544	700,498
რემონტი და ტექნიკური მხარდაჭერა	442,873	20,352
სასტუმროს მართვის საფასური	352,714	-
დაზღვევა	154,472	35,835
პროფესიული საფასური	153,196	36,798
ბანკის საკომისიო	104,745	154,882
წამრმომადგენლობითი ხარჯები	9,328	76,622
სხვა	317,552	397,250
	7,681,633	**3,120,351**

8. ძირითადი საშუალებები

ლარი	მიწა	შენობა-ნაგებობები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	დაუსრულებელი მშენებლობა	სულ
თვითღირებულება/გადაფასებული ღირებულება					
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	390,805	808,798	596,378	23,902,946	25,698,927
შესყიდვები	-	-	20,176,607	44,208,022	64,384,629
გადაცემები	-	65,483,054	1,405,334	(66,888,388)	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**390,805**	**66,291,852**	**22,178,319**	**1,222,580**	**90,083,556**
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	390,805	66,291,852	22,178,319	1,222,580	90,083,556
გადაფასება	826,767	-	-	-	826,767
შესყიდვები	-	3,138,512	636,293	-	3,774,805
გადაცემები	-	735,686	486,894	(1,222,580)	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**1,217,572**	**70,166,050**	**23,301,506**	**-**	**94,685,128**
დაგროვილი ცვეთა					
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	-	(34,142)	(31,218)	-	(65,360)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(274,134)	(1,188,820)	-	(1,462,954)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**-**	**(308,276)**	**(1,220,038)**	**-**	**(1,528,314)**
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	-	(308,276)	(1,220,038)	-	(1,528,314)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(2,092,701)	(4,256,173)	-	(6,348,874)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**-**	**(2,400,977)**	**(5,476,211)**	**-**	**(7,877,188)**
საბალანსო ღირებულებები					
2018 წლის 1 იანვარს	390,805	774,656	565,160	23,902,946	25,633,567
2018 წლის 31 დეკემბერს	**390,805**	**65,983,576**	**20,958,281**	**1,222,580**	**88,555,242**
2019 წლის 31 დეკემბერს	**1,217,572**	**67,765,073**	**17,825,295**	**-**	**86,807,940**

სასტუმროს ისტორიული ღირებულება განისაზღვრა ძირითადი საშუალებების მშენებლობისა და შესყიდვის ღირებულებით და ასევე ყველა დაკავშირებული ხარჯით, რომელიც პირდაპირ არის მიკუთვნებადი აქტივების დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოყვანაზე.

(a) დაუსრულებელი მშენებლობა

2019 წლის განმავლობაში კომპანიას არ განუხორციელებია სასესხო ხარჯების კაპიტალიზაცია რაც შეიძლება მოიცავდეს დაუსრულებელ მშენებლობასთან დაკავშირებულ დარიცხულ პროცენტს (2018: 1,039 ათასი ლარი, სასესხო ხარჯები კაპიტალიზდა კაპიტალიზაციის განაკვეთით 11.51%).

(b) მიწის გადაფასება

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისთვის, მიწის სამართლიანი ღირებულება დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ განისაზღვრა, მსგავს ადგილმდებარეობაზე და მსგავს ფიზიკურ მდგომარეობაში მყოფი, მსგავსი ქონების გამოცხადებული მოთხოვნის ფასების მიხედვით.მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი მონაცემები, რომლებიც ქონების მახასიათებლების სხვაობებს უკავშირდება, როგორიც არის ზომა, ადგილმდებარეობა, წვდომა ქონებაზე და გაყიდვის პირობები. თითოეულ მნიშვნელოვან არადაკვირვებად მონაცემზე მიკუთვნევადი კორექტირებები 5% -სა და 15%-ს შორის მერყეობს. შეფასებაში გამოყენებული კორექტირებული საბაზრო ფასების 5%-იანი ცვლილება 61 ათასი ლარით შეცვლიდა სამართლიანი ღირებულების შეფასებას.

მიწის სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მესამე დონეში არის კლასიფიცირებული, შეფასების მეთოდში გამოყენებული მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი კორექტირებების გამო.

(c) უზრუნველყოფა

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისთვის ძირითადი საშუალებები დაგირავებულია უზრუნველყოფილ საბანკო სესხებთან მიმართებაში, როგორც პირველხარისხოვანი უზრუნველყოფა (იხილეთ შენიშვნა 14) და სს „საპარტნიორო ფონდის“ მიმართ, როგორც მეორეხარისხოვანი უზრუნველყოფა.

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მოთხოვნები მიწის ნაკვეთების გაყიდვის შედეგად	150,396	1,029,257
სხვა	130,968	165,249
	281,364	**1,194,506**

2016 წლის მაისში, კომპანიამ შპს „წინანდლის ვილებს“ (დაკავშირებული მხარე) 380,000 აშშ დოლარად მიჰყიდა 5 მიწის ნაკვეთი. კომპანიას არ მიუღია არანაირი გადახდა დაკავშირებული მხარისგან გაყიდვის თარიღიდან 2019 წლამდე, როდესაც კომპანიამ მიწის ნაკვეთების გაყიდვიდან მიღებული ჯამური მოთხოვნიდან 896,900 ლარი ამოიღო.

კომპანიის დაქვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკზე და ფინანსური აქტივების და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი წარმოდგენილია შენიშვნაში 16.

10. საგადასახადო აქტივები

ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
საგადასახადო აქტივი	302,787	2,768,137
	302,787	**2,768,137**

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისთვის, კომპანიის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები სხვადასხვა გადასახადებისთვის იქნა ურთიერთგაქვითული და წარმოდგენილია, 302,787 ლარის და 2,768,137 ლარის ოდენობით საგადასახადო აქტივის სახით, შესაბამისად.

11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და შეზღუდული ფულადი სახსრები

ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ნაშთები ბანკში	1,021,831	6,592,045
ფულადი სახსრები სალაროში	13,885	129,834
	1,035,716	**6,721,879**

კომპანიის დაქვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკზე და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი წარმოდგენილია შენიშვნაში 16.

2018 წელს, 265 ათასი ლარის ოდენობით ფულადი სახსრები იქნა შეზღუდული ვალდებულებებთან მიმართებაში, რაც შემდგომ იქნა დაკმაყოფილებული 2019 წელს და შესაბამისად, შეზღუდვა გაუქმდა.

12. კაპიტალი

(a) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და კომპანიის კრებებზე უფლებამოსილნი არიან ხმების რაოდენობაზე, რომელიც შეესაბამება კომპანიაში წილის პროცენტს.

ლარი	2019	2018
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	71,614,319	34,873,282
საწესდებო კაპიტალის ზრდა	9,320,976	36,741,037
ნაშთი პერიოდის ბოლოს	**80,935,295**	**71,614,319**

2019 წლის განმავლობაში, მესაკუთრეების - შპს „წინანდლის სავანეს“ და სს „საპარტნიორო ფონდის“, გადაწყვეტილებების მიხედვით: - კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 9,320,976 ლარით რაც სრულად იქნა დაფარული ფულადი სახსრებით (2018: 36,741,037 ლარი, ასევე სრულად დაფარული ფულადი სახსრებით). 2019 წლის 31 დეკემბრისთვის და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის გადაუხდელი კაპიტალი იყო 503,087 აშშ დოლარი და 316,000 აშშ დოლარი, შესაბამისად.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისთვის, შპს „წინანდლის სავანეს“ მიერ ფლობილი კომპანიის კაპიტალი იქნა დაგირავებული სს „საპარტნიორო ფონდის“ სასარგებლოდ, 2016 წლის 2 სექტემბრით დათარიღებული, სს „საპარტნიორო ფონდს“, შპს „წინანდლის სავანესა“ და შპს „წინანდლის მამულებს“ შორის დადებული „პარტნიორთა შეთანხმების“ საფუძველზე, რომელსაც მოჰყვა 2016 წლის დეკემბერში დადებული გირაოს ხელშეკრულება.

(b) დამატებით გადახდილი კაპიტალი

კომპანიის მესაკუთრეების მიერ ფულადი სახსრების შენატანები კომპანიის კაპიტალში, კაპიტალის ზრდის შესახებ მესაკუთრეების შესაბამისი გადაწყვეტილებების გარეშე, კლასიფიცირდება როგორც დამატებით გადახდილი კაპიტალი. 2019 წლის 31 დეკემბრისთვის დამატებით გადახდილი კაპიტალი 1,168,333 ლარს შეადგენდა (2018 წლის 31 დეკემბერი: 1,168,333 ლარი).

(c) გადაფასების რეზერვი

გადაფასების რეზერვი მიწის გადაფასებას უკავშირდება. გადაფასების ნამეტი მიწისთვის მოიცავს ქონების კუმულაციურ დადებით გადაფასებულ ღირებულებას, მანამ სანამ აქტივების აღიარება არ იქნება შეწყვეტილი ან გაუფასურებული.

(d) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, როგორც ეს აღრიცხულია კომპანიის ფასს-ის შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

13. კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, თუმცა ხელმძღვანელობა ცდილობს, შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალის ბაზა კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და ასევე ბაზრის მონაწილეთა ნდობის შესანარჩუნებლად. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით.

კომპანიაზე არ ვრცელდება კომპანიის გარედან დაწესებული კაპიტალის რაიმე მოთხოვნები.

14. სესხები და კრედიტები

წინამდებარე შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია კომპანიის პროცენტიანი სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით. კომპანიაზე საპროცენტო განაკვეთის, უცხოური ვალუტის და ლიკვიდურობის რისკის ზემოქმედების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 16.

ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მიმდინარე ვალდებულებები		
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	1,840,731	5,652,586
სესხი იურიდიული პირისგან უზრუნველყოფის გარეშე	413,579	-
	2,254,310	**5,652,586**
გრძელვადიანი ვალდებულებები		
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	26,118,196	25,444,645
სესხი დაკავშირებული მხარისგან უზრუნველყოფის გარეშე	787,899	731,400
სესხი იურიდიული პირისგან უზრუნველყოფის გარეშე	-	358,098
	26,906,095	**26,534,143**
	29,160,405	**32,186,729**

(a) სესხის დაფარვის ვადები და გრაფიკი

დაუფარავი სესხების დაფარვის ვადები და პირობები არის შემდეგი:

				31 დეკემბერი 2019		31 დეკემბერი 2018	
ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
უზრუნველ -ყოფილი საბანკო სესხები	აშშ დოლარი	9% + LIBOR	2028	27,958,927	27,958,927	26,533,628	26,533,628
უზრუნველ -ყოფილი საბანკო სესხები	აშშ დოლარი	9% + LIBOR	2019	-	-	4,563,603	4,563, 603
სესხი დაკავშირებული მხარისგან უზრუნველ -ყოფის გარეშე	ლარი	11.3%	2022	787,899	787,899	731,400	731,400
სესხი იურიდიული პირისგან უზრუნველ -ყოფის გარეშე	აშშ დოლარი	15%	2020	413,579	413,579	358,098	358,098
სულ სესხები და კრედიტები				**29,160,405**	**29,160,405**	**32,186,729**	**32,186,729**

უზრუნველყოფილი საბანკო სესხები გადასახდელია სს „თიბისი ბაკის“ მიმართ და უზრუნველყოფილია კომპანიის ძირითადი საშუალებებით (იხილეთ შენიშვნა 8(c)), შპს „წინანდლის სავანეს“ სააქციო კაპიტალით (იხილეთ შენიშვნა 12) და კომპანის დაკავშირებული მხარეების კონკრეტული ფულადი სახსრების და მოთხოვნების ნაშთებით.

უზრუნველყოფილი საბანკო სესხები ექვემდებარება ფინანსურ და არაფინანსურ კოვენანტებს, საიდანაც ზოგიერთი იქნა დარღვეული 2019 წლის 31 დეკემბრისთვის (2018 წლის 31 დეკემბერი: არცერთი კოვენანტი არ ყოფილა დარღვეული). 2019 წლის 31 დეკემბრისთვის ბანკმა განაცხადა დარღვევით წარმოქმნილ უფლებაზე უარი.

(b) ვალდებულებების მოძრაობის ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან შეჯერება

ლარი	სესხები და კრედიტები	საიჯარო ვალდებულება	სულ
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	**32,186,729**	**501,712**	**32,688,441**
შემოსულობები სესხებიდან	2,210,975	-	2,210,975
სესხების დაფარვა	(7,748,645)	-	(7,748,645)
საიჯარო გადახდები	-	(664)	(664)
გადახდილი პროცენტი	(3,886,580)	(74,336)	(3,960,916)
სულ ცვლილებები ფულადი ნაკადების დაფინანსებიდან	**22,762,479**	**426,712**	**23,189,191**
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა	**2,315,937**	-	**2,315,937**
სხვა ცვლილებები			
საპროცენტო ხარჯი	4,081,989	74,336	4,156,325
სულ სხვა ცვლილებები	**4,081,989**	**74,336**	**4,156,325**
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**29,160,405**	**501,048**	**29,661,453**

ლარი	სესხები და კრედიტები
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	**998,198**
შემოსულობები სესხებიდან	29,628,370
სესხების დაფარვა	(231,254)
გადახდილი პროცენტი	(1,331,967)
სულ ცვლილებები ფულადი ნაკადების დაფინანსებიდან	**29,063,347**
— ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მართებულია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულებელყოფას.

— ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
— ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
— გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში, ან თუ შესაბამისი განმარტებითი შენიშვნა არასაკმარისი იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის უნარზე განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ.
— ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

აუდიტის პარტნიორი, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

ნათია თევზაძე

შპს „KPMG Georgia“
თბილისი, საქართველო
1 დეკემბერი, 2020 წელი

ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	86,807,940	88,555,242
არამატერიალური აქტივები		528,287	501,204
აქტივები გამოყენების უფლებით	5	488,361	-
ავანსები მშენებლობისთვის		155,247	1,391,694
სულ გრძელვადიანი აქტივები		**87,979,835**	**90,448,140**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		847,050	623,928
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	281,364	1,194,506
საგადასახადო აქტივი	10	302,787	2,768,137
შეზღუდული ფულადი სახსრები	11	-	265,000
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	1,035,716	6,721,879
სულ მიმდინარე აქტივები		**2,466,917**	**11,573,450**
სულ აქტივები		**90,446,752**	**102,021,590**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი	12		
საწესდებო კაპიტალი		80,935,295	71,614,319
დამატებით გადახდილი კაპიტალი		1,168,333	1,168,333
გადაფასების რეზერვი		980,381	153,614
დაგროვილი ზარალი		(29,432,154)	(14,454,912)
სულ კაპიტალი		**53,651,855**	**58,481,354**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	14	26,906,095	26,534,143
სულ გრძელვადიანი აქტივები		**26,906,095**	**26,534,143**
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	14	2,254,310	5,652,586
საიჯარო ვალდებულება	5	501,048	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	7,133,444	11,353,507
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**9,888,802**	**17,006,093**
სულ ვალდებულებები		**36,794,897**	**43,540,236**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**90,446,752**	**102,021,590**

*კომპანიამ თავდაპირველად ფასს 16 2019 წლის 1 იანვრიდან გამოიყენა. შერჩეული გადასვლის მეთოდის ფარგლებში, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული. იხილეთ შენიშვნა 5.

ლარი	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი	6	10,004,176	408,006
სასტუმროს ოპერირების ხარჯები	7	(7,681,633)	(3,120,351)
ხელფასები და სხვა თანამშრომელთა სარგებელი		(4,330,650)	(1,508,353)
ცვეთა და ამორტიზაცია		(6,455,681)	(1,471,449)
სხვა შემოსავალი		269,787	76,838
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		**(8,194,001)**	**(5,615,309)**
ფინანსური ხარჯები	14(b)	(4,177,219)	(584,870)
უცხოური გაცვლითი კურსის წმინდა ზარალი		(2,606,022)	(1,801,910)
წმინდა ფინანსური ხარჯები		**(6,783,241)**	**(2,386,780)**
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**(14,977,242)**	**(8,002,089)**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
ზარალი წლის განმავლობაში		**(14,977,242)**	**(8,002,089)**
სხვა სრული შემოსავალი			
ერთეულები, რომლებიც არასოდეს არ აიქნება რეკლასიფიცირებული მოგებაში ან ზარალში			
მიწის გადაფასება		826,767	-
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		**826,767**	-
ზარალი და სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში		**(14,150,475)**	**(8,002,089)**

*კომპანიამ თავდაპირველად ფასს 16 2019 წლის 1 იანვრიდან გამოიყენა. შერჩეული გადასვლის მეთოდის ფარგლებში, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული. იხილეთ შენიშვნა 5.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 1 დეკემბერს და მისი სახელით ხელმოწერილია:

გიორგი ხარაბაძე
დირექტორი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების ნაწილს წარმოადგენენ და განთავსებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების 10 - 40 გვერდებზე.

სოფიო კაპანაძე

ლარი	საწესდებო კაპიტალი	დამატებით გადახდილი კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	**34,873,282**	**1,168,333**	**(6,452,823)**	**153,614**	**29,742,406**
სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში					
ზარალი წლის განმავლობაში	-	-	(8,002,089)	-	(8,002,089)
ოპერაციები მესაკუთრეებთან					
მესაკუთრეების შენატანი (შენიშვნა 12(a))	36,741,037	-	-	-	36,741,037
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**71,614,319**	**1,168,333**	**(14,454,912)**	**153,614**	**58,481,354**
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს*	**71,614,319**	**1,168,333**	**(14,454,912)**	**153,614**	**58,481,354**
სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში					
ზარალი წლის განმავლობაში	-	-	(14,977,242)	-	(14,977,242)
მიწის გადაფასება	-	-	-	826,767	826,767
ოპერაციები მესაკუთრეებთან					
მესაკუთრეების შენატანი (შენიშვნა 12(a))	9,320,976	-	-	-	9,320,976
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**80,935,295**	**1,168,333**	**(29,432,154)**	**980,381**	**53,651,855**

*კომპანიამ თავდაპირველად ფასს 16 2019 წლის 1 იანვრიდან გამოიყენა. შერჩეული გადასვლის მეთოდის ფარგლებში, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული. იხილეთ შენიშვნა 5.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების ნაწილს წარმოადგენენ და განთავსებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების 10 - 40 გვერდებზე.

სოფიო კაპანაძე

ლარი	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(14,977,242)	(8,002,089)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		6,455,681	1,471,449
ფინანსური ხარჯები		4,177,219	584,870
უცხოური გაცვლითი კურსის ზარალი		2,606,022	1,801,910
		(1,738,320)	**(4,143,860)**
ცვლილებები:			
მარაგებში		(223,122)	(346,526)
შეზღუდულ ფულად სახსრებში		265,000	(265,000)
საგადასახადო აქტივებში		2,465,350	(1,041,408)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		44,200	(161,165)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(486,733)	970,932
საოპერაციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები პროცენტის და საკომისიოს გადახდამდე		**326,375**	**(4,987,027)**
გადახდილი პროცენტი	14	(3,960,916)	(1,331,967)
გადახდილი საკომისიო		(20,894)	(223,283)
საოპერაციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(3,655,435)**	**(6,542,277)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(6,576,447)	(53,532,411)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(120,539)	(509,699)
შემოსულობები ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		896,900	-
საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(5,800,086)**	**(54,042,110)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან			
სესხების დაფარვა	14	(7,748,645)	(231,254)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	14	(664)	-
შემოსულობები სესხებიდან	14	2,210,975	29,628,370
მესაკუთრეების შენატანები	12	9,320,976	36,741,037
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობებიდან		**3,782,642**	**66,138,153**
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		**(5,672,879)**	**5,553,766**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		6,721,879	946,367
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(13,284)	221,746
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	11	**1,035,716**	**6,721,879**

*კომპანიამ თავდაპირველად ფასს 16 2019 წლის 1 იანვრიდან გამოიყენა. შერჩეული გადასვლის მეთოდის ფარგლებში, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული. იხილეთ შენიშვნა 5.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების ნაწილს წარმოადგენენ და განთავსებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების 10 - 40 გვერდებზე.

სოფიო კაპანაძე

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(a) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(b) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს „წინანდლის მამულები“ (შემდგომში, „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას “მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად და კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 204557372. კომპანია დარეგისტრირდა სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მიერ 2008 წლის 27 ივნისს და ის მდებარეობს საქართველოში.

კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს რუსთაველის გამზირზე N37-ში, თბილისი საქართველო.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქართველოში, წინანდლის რეგიონში „Radisson Collection Hotel, Tsinandali Estate Georgia“-ს (შემდგომში, "სასტუმრო") მართვა და რეგიონში ტურიზმის განვითარება. სასტუმრომ ფუნქციონირება 2018 წლის ბოლო მეოთხედში დაიწყო. სასტუმრო მუშაობს „Radisson Collection“ ბრენდის ფარგლებში და მას მართავს „Radisson Hotels ApS Danmark“, საერთაშორისო მართვის ხელშეკრულების საფუძველზე.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისთვის, კომპანიის საკუთრების სტრუქტურა არის შემდეგი:

	საკუთრების სტრუქტურა, %	
მესაკუთრეები	**2019**	**2018**
შპს „წინანდლის სავანე“	66.57%	54.49%
სს „საპარტიონო ფონდი“	33.43%	45.51%
	100%	**100%**

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისთვის, კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე იყო ფიზიკური პირი, გიორგი რამიშვილი. 2020 წელს, კომპანიის შუალედური მშობელი კომპანია იქნა რეორგანიზებული, რის შედეგადაც, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად ნებადართვის თარიღისთვის, კომპანიას აღარ ჰყავს საბოლოო მაკონტროლებელი მხარე. ოპერაციები დაკავშირებული მხარეებთან წარმოდგენილია მე-19-ე შენიშვნაში.

2. აღრიცხვის საფუძველი

(a) შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს-ები) სრულ შესაბამისობაში.

ეს არის კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგების ნაკრები სადაც გამოყენებულია ფასს 16 „იჯარები“. ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში აღწერილია მე-5 შენიშვნაში.

(ხ) უწყვეტი ფუნქციონირება

მიუხედავად მიმდინარე COVID-19-ის მდგომარეობისა (იხილეთ შენიშვნა 23), ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის მიხედვით, რომელსაც კომპანიის ხელმძღვანელობა შესაფერისად მიიჩნევს შემდეგი მიზეზების გამო.

კომპანიის ხელმძღვანელობამ მოამზადა ფულადი ნაკადების პროგნოზი წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღის შემდეგ 12-თვიანი პერიოდისთვის, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ გონივრულად შესაძლებელი მოვლენათა უარყოფითი განვითარებების გათვალისწინებით, კომპანიას ექნება საკმარისი ფულადი სახსრები, მისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად მათი დაფარვის ვადის დადგომისას, აღნიშნული პერიოდისთვის.

პროგნოზები აკეთებს დაშვებას, რომ სასტუმროს ოპერაციები უკვე განახლდა და მოსალოდნელია, რომ გაიზარდოს ეტაპობრივად და რომ 2020 წელს კომპანიამ წარმატებით დაასრულა მოლაპარაკებები სს „თიბისი ბანკთან“ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდების გადავადებაზე მიმდინარე საკრედიტო ხაზების ფარგლებში (იხილეთ შენიშვნა 23). აღნიშნული პროგნოზები ასევე ითვალისწინებს, რომ ნაკლებად სავარაუდო მოვლენათა უარყოფითი განვითარების შემთხვევაში, კომპანიის შუალედური მშობელი კომპანია, შპს „SRG Real Estate“ კომპანიას და მასთან დაკავშირებულ მხარეებს, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ფინანსური მხარდაჭერით უზრუნველყოფს. შპს „SRG Real Estate“-მა გამოთქვა განზრახვა, რომ პროგნოზებით გათვალისწინებული პერიოდისთვის გააგრძელოს მსგავსი ფულადი სახსრების უზრუნველყოფა, კომპანიის საჭიროებისამებრ. ისევე როგორც ნებისმიერი სხვა კომპანია, რომელსაც ფინანსური მხარდაჭერისთვის ჯგუფის სხვა საწარმოების იმედი აქვს, დირექტორები აცნობიერებენ, რომ შეუძლებელია იყვნენ დარწმუნებულნი იმაში, რომ აღნიშნული მხარდაჭერა გაგრძელდება, თუმცა, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის, მათ არ აქვთ მიზეზი იფიქრონ, რომ აღნიშნული მხარდაჭერა არ გაგრძელდება. გარდა ამისა, აქციონერები გამოხატავენ მათ მიმდინარე მხარდაჭერას კომპანიის მიმართ, მათი სააქციო კაპიტალის რეგულარული ზრდის გზით, იხილეთ შენიშვნა 12.

ამ და სხვა დაშვებების მიხედვით, ხელმძღვანელობს სჯერა, რომ კომპანიას ექნება საკმარისი ფულადი სახსრები, რომ დააკმაყოფილოს მისი ვალდებულებები მათი დაფარვის ვადის დადგომისას, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღიდან სულ მცირე 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში და შესაბამისად მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის საფუძველზე. ხელმძღვანელობას ასევე სჯერა, რომ არ არსებობს არსებითი გაურკვევლობა უწყვეტი ფუნქციონირების დაშვებასთან დაკავშირებით.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც ასევე კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს და ვალუტას რომელშიც წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება არის წარმოდგენილი. ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარში, გარდა სხვაგვარად მითითებულისა.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

(a) ფასს-თან შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

სააღრიცხვო შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგად გამოწვეული ცვლილებები, აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაში კრიტიკული მსჯელობების შესახებ ინფორმაცია, რომელსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განხილულია შემდეგ შენიშვნაში:

- შენიშვნა 2(b) – უწყვეტი ფუნქციონირების შეფასება;
- შენიშვნა 21(e) – ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები;

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს ისეთი დაშვებები და შეფასების გაურკვევლობები, რომლებიც წარმოადგენს, შემდეგ ფინანსურ წელიწადში არსებითი კორექტირების რისკს.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

კომპანიის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და ინფორმაცია საჭიროებს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას, როგორც ფინანსური, ისე - არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის. სამართლიანი ღირებულებების განსაზღვრა განხორციელდა შეფასებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზნებისთვის.

სამართლიანი ღირებულებები დაჯგუფებულია სხვადასხვა დონეების მიხედვით, სამართლიანი ღირებულების იერარქიაში იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც გამოყენებულია შეფასების მეთოდოლოგიაში შემდეგი სახით:

- *დონე 1*: კოტირებული საბაზრო ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.
- *დონე 2*: შემავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც შესულია პირველ დონეში და რომლებიც ხელმისაწვდომია აქტივისა და ვალდებულებისთვის, როგორც პირდაპირ (მაგ. ფასები), ასევე ირიბად (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- *დონე 3*: მონაცემები აქტივისა და ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლოა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონეებში, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 8(b) – მიწის გადაფასება;
- შენიშვნა 16(a) – ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება.

5. ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში

გარდა ქვემოთ წარმოდგენილი ცვლილებებისა, კომპანია თანმიმდევრულად იყენებდა სააღრიცხვო პოლიტიკებს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

ფასს 16

კომპანიამ თავდაპირველად ფასს 16 2019 წლის 1 იანვრიდან გამოიყენა.

ფასს 16-ს შემოაქვს ერთიანი, საბალანსო იჯარების აღრიცხვის მოდელი მოიჯარეებისთვის. რაც ნიშნავს რომ მოიჯარე აღიარებს აქტივებს გამოყენების უფლებით, რაც ასახავს მის უფლებას გამოიყენოს აღნიშნული აქტივები და საიჯარო ვალდებულებებს, რაც ასახავს მის ვალდებულებას განახორციელოს საიჯარო გადახდები. მეიჯარეს ანგარიშგება რჩება მსგავსი ადრე გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკებისა. კომპანიამ მიიღო ფასს 16-ი მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით და აქტივი გამოყენების

სოფო კაპანაძე

უფლებით შეაფასა საიჯარო ვალდებულების ტოლი ოდენობით (კორექტირებული ავანსებით და დარიცხვებით). შესაბამისად, 2018 წლისთვის წარმოდგენილი შესადარისი ინფორმაცია არ ყოფილა გადაანგარიშებული - ანუ წარმოდგენილია ადრე აღრიცხულის შესაბამისად, ბასს 17-ის და დაკავშირებული ინტერპრეტაციების ფარგლებში. სააღრიცხვო პოლიტიკების ცვლილებების დეტალები განმარტებულია ქვემოთ. ამასთანავე, ფასს 16-ის განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნები არ ყოფილა გამოყენებული შესადარის ინფორმაციაზე.

(a) იჯარის განმარტება

ადრე, კომპანია ხელშეკრულების დადებისას განსაზღვრავდა იყო თუ არა ან შეიცავდა თუ არა გარიგება იჯარას ბასს 17 *იჯარების* და ფასიკ 4 *როგორ განვსაზღროთ შეიცავს თუ არა გარიგება იჯარას* - ფარგლებში. კომპანია ამჟამად აფასებს, არის თუ არა ან შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას იჯარის ახალი განმარტების მიხედვით, როგორც წარმოდგენილია შენიშვნაში 21(f).

ფასს 16-ზე გადასვლისას, კომპანიამ გარიგებების იჯარებად კლასიფიკაციისთვის პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება აირჩია. კომპანიამ ფასს 16 მხოლოდ ადრე იჯარებად კლასიფიცირებულ ხელშეკრულებებთან მიმართებაში გამოიყენა. ხელშეკრულებები, რომლებიც არ იყო კლასიფიცირებული იჯარებად ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის ფარგლებში, არ ყოფილა ხელახლა შეფასებული იჯარის არსებობაზე ფასს 16-ის ფარგლებში. მაშასადამე, იჯარის განმარტება ფასს 16-ის ფარგლებში გამოყენებულ იქნა მხოლოდ 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დადებულ ან შეცვლილ ხელშეკრულებებზე.

(b) როგორც მოიჯარე

კომპანიის საიჯარო ხელშეკრულებები ძირითადად უკავშირდება სასტუმროს გარშემო მდებარე მიწასა და შენობებს.

ადრე კომპანია, როგორც მოიჯარე, იჯარებს აკლასიფიცირებდა საოპერაციო იჯარების სახით მისი შეფასების მიხედვით იმისა, გადასცემდა თუ არა იჯარა კომპანიას შესაბამისი აქტივის მფლობელობის არსებითად ყველა რისკსა და ანაზღაურებას. ფასს 16-ის ფარგლებში, კომპანია აღნიშნული იჯარების უმეტესობისთვის აღიარებს აქტივებს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებებს - ანუ აღნიშნული იჯარები არის საბალანსო.

ორივე, აქტივები გამოყენების უფლებით და ასევე დაკავშირებული საიჯარო ვალდებულებები, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია ცალკე მუხლების სახით.

იჯარების დაფარვის ვადის ანალიზი განმარტებულია შენიშვნაში 16(b)(iii).

(i) ბასს 17-ის ფარგლებში საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებული იჯარები

ადრე, კომპანია ქონების იჯარებს, ბასს 17-ის ფარგლებში, საოპერაციო იჯარებად აკლასიფიცირებდა. აღნიშნული იჯარებისთვის, ფასს 16-ზე გადასვლისას, საიჯარო ვალდებულებები შეფასდა დარჩენილი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, დისკონტირებული კომპანიის 2019 წლის 1 იანვარს არსებული მზარდი სასესხო განაკვეთით. აქტივები გამოყენების უფლებით ფასდება საიჯარო ვალდებულების ტოლი ოდენობით, კორექტირებული ნებისმიერი წინასწარ გადახდილი ან დარიცხული საიჯარო გადახდების ოდენობით.

(c) გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე

გავლენა გადასვლისას

ფასს 16-ზე გადასვლისას, კომპანიამ საიჯარო ვალდებულების ტოლი ოდენობით აღიარა დამატებითი აქტივები გამოყენების უფლებით. ფასს 16-ზე გადასვლის გავლენა შეჯამებულია ქვემოთ:

ლარი	1 იანვარი 2019
აქტივები გამოყენების უფლებით – ძირითადი საშუალებები	501,712
საიჯარო ვალდებულებები	(501,712)

საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებული იჯარებისთვის საიჯარო ვალდებულებების შეფასებისას, კომპანიამ განახორციელა საიჯარო გადახდების დისკონტირება მისი 2019 წლის 1 იანვარს არსებული, მზარდი სასესხო განაკვეთის გამოყენებით. გამოყენებული საშუალო შეწონილი განაკვეთი არის 14.86% ლარში დენომინირებული იჯარებისთვის. კომპანიას არ აქვს ლარის გარდა სხვა ვალუტაში დენომინირებული საიჯარო ხელშეკრულებები.

გავლენა წლის განმავლობაში

ფასს 16-ის გავლენა 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგებაზე იყო შემდეგი:

ლარი	მიწა და შენობები
აქტივები გამოყენების უფლებით	
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	501,712
ცვეთის დარიცხვა წლის განმავლობაში	(13,351)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	488,361
საიჯარო ვალდებულება	
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	(501,712)
პროცენტის დარიცხვა	(74,336)
საიჯარო ვალდებულების გადახდები	75,000
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	(501,048)

მოგებაში ან ზარალში აღიარებული ოდენობები

	2019
2019 – იჯარები ფასს 16-ის ფარგლებში	
პროცენტი საიჯარო ვალდებულებებზე	(74,336)
2018 – საოპერაციო იჯარები ბასს 17-ის ფარგლებში	
საიჯარო ხარჯი	(185,087)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში აღიარებული ოდენობები

საიჯარო ვალდებულების გადახდები	(664)
გადახდილი პროცენტი	(74,336)
სულ ფულადი სახსრების გადინება იჯარებისთვის	**(75,000)**

6. შემოსავალი

ლარი	2019	2018
შემოსავალი ოთახების გაქირავებიდან	4,917,108	107,589
შემოსავალი საკვებ-სასმელის გაყიდვიდან	4,791,482	296,736
სხვა შემოსავალი	295,586	3,681
	10,004,176	**408,006**

სოფიო კაპანაძე

7. სასტუმროს საოპერაციო ხარჯები

ლარი	2019	2018
მარაგების თვითღირებულება	1,959,429	425,282
კონტრაქტორებზე გადასახდელი მომსახურების საფასური	1,153,300	613,632
გადასახადები. მოგების გადასახადის გარდა	901,692	490,923
კომუნალურები	861,540	148,596
მარაგები	648,248	19,681
მარკეტინგი	622,544	700,498
რემონტი და ტექნიკური მხარდაჭერა	442,873	20,352
სასტუმროს მართვის საფასური	352,714	-
დაზღვევა	154,472	35,835
პროფესიული საფასური	153,196	36,798
ბანკის საკომისიო	104,745	154,882
წამრმომადგენლობითი ხარჯები	9,328	76,622
სხვა	317,552	397,250
	7,681,633	**3,120,351**

8. ძირითადი საშუალებები

ლარი	მიწა	შენობა-ნაგებობები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	დაუსრულებელი მშენებლობა	სულ
თვითღირებულება/გადაფასებული ღირებულება					
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	390,805	808,798	596,378	23,902,946	25,698,927
შესყიდვები	-	-	20,176,607	44,208,022	64,384,629
გადაცემები	-	65,483,054	1,405,334	(66,888,388)	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**390,805**	**66,291,852**	**22,178,319**	**1,222,580**	**90,083,556**
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	390,805	66,291,852	22,178,319	1,222,580	90,083,556
გადაფასება	826,767	-	-	-	826,767
შესყიდვები	-	3,138,512	636,293	-	3,774,805
გადაცემები	-	735,686	486,894	(1,222,580)	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**1,217,572**	**70,166,050**	**23,301,506**	**-**	**94,685,128**
დაგროვილი ცვეთა					
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	-	(34,142)	(31,218)	-	(65,360)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(274,134)	(1,188,820)	-	(1,462,954)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**-**	**(308,276)**	**(1,220,038)**	**-**	**(1,528,314)**
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	-	(308,276)	(1,220,038)	-	(1,528,314)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(2,092,701)	(4,256,173)	-	(6,348,874)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**-**	**(2,400,977)**	**(5,476,211)**	**-**	**(7,877,188)**
საბალანსო ღირებულებები					
2018 წლის 1 იანვარს	390,805	774,656	565,160	23,902,946	25,633,567
2018 წლის 31 დეკემბერს	**390,805**	**65,983,576**	**20,958,281**	**1,222,580**	**88,555,242**
2019 წლის 31 დეკემბერს	**1,217,572**	**67,765,073**	**17,825,295**	**-**	**86,807,940**

სასტუმროს ისტორიული ღირებულება განისაზღვრა ძირითადი საშუალებების მშენებლობისა და შესყიდვის ღირებულებით და ასევე ყველა დაკავშირებული ხარჯით, რომელიც პირდაპირ არის მიკუთვნებადი აქტივების დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოყვანაზე.

(a) დაუსრულებელი მშენებლობა

2019 წლის განმავლობაში კომპანიას არ განუხორციელებია სასესხო ხარჯების კაპიტალიზაცია რაც შეიძლება მოიცავდეს დაუსრულებელ მშენებლობასთან დაკავშირებულ დარიცხულ პროცენტს (2018: 1,039 ათასი ლარი, სასესხო ხარჯები კაპიტალიზდა კაპიტალიზაციის განაკვეთით 11.51%).

(b) მიწის გადაფასება

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისთვის, მიწის სამართლიანი ღირებულება დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ განისაზღვრა, მსგავს ადგილმდებარეობაზე და მსგავს ფიზიკურ მდგომარეობაში მყოფი, მსგავსი ქონების გამოცხადებული მოთხოვნის ფასების მიხედვით.მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი მონაცემები, რომლებიც ქონების მახასიათებლების სხვაობებს უკავშირდება, როგორიც არის ზომა, ადგილმდებარეობა, წვდომა ქონებაზე და გაყიდვის პირობები. თითოეულ მნიშვნელოვან არადაკვირვებად მონაცემზე მიკუთვნევადი კორექტირებები 5% -სა და 15%-ს შორის მერყეობს. შეფასებაში გამოყენებული კორექტირებული საბაზრო ფასების 5%-იანი ცვლილება 61 ათასი ლარით შეცვლიდა სამართლიანი ღირებულების შეფასებას.

მიწის სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მესამე დონეში არის კლასიფიცირებული, შეფასების მეთოდში გამოყენებული მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი კორექტირებების გამო.

(c) უზრუნველყოფა

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისთვის ძირითადი საშუალებები დაგირავებულია უზრუნველყოფილ საბანკო სესხებთან მიმართებაში, როგორც პირველხარისხოვანი უზრუნველყოფა (იხილეთ შენიშვნა 14) და სს „საპარტნიორო ფონდის“ მიმართ, როგორც მეორეხარისხოვანი უზრუნველყოფა.

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მოთხოვნები მიწის ნაკვეთების გაყიდვის შედეგად	150,396	1,029,257
სხვა	130,968	165,249
	281,364	**1,194,506**

2016 წლის მაისში, კომპანიამ შპს „წინანდლის ვილებს“ (დაკავშირებული მხარე) 380,000 აშშ დოლარად მიჰყიდა 5 მიწის ნაკვეთი. კომპანიას არ მიუღია არანაირი გადახდა დაკავშირებული მხარისგან გაყიდვის თარიღიდან 2019 წლამდე, როდესაც კომპანიამ მიწის ნაკვეთების გაყიდვიდან მიღებული ჯამური მოთხოვნიდან 896,900 ლარი ამოიღო.

კომპანიის დაქვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკზე და ფინანსური აქტივების და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი წარმოდგენილია შენიშვნაში 16.

10. საგადასახადო აქტივები

ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
საგადასახადო აქტივი	302,787	2,768,137
	302,787	**2,768,137**

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისთვის, კომპანიის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები სხვადასხვა გადასახადებისთვის იქნა ურთიერთგაქვითული და წარმოდგენილია, 302,787 ლარის და 2,768,137 ლარის ოდენობით საგადასახადო აქტივის სახით, შესაბამისად.

სოფო კაპანაძე

11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და შეზღუდული ფულადი სახსრები

ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ნაშთები ბანკში	1,021,831	6,592,045
ფულადი სახსრები სალაროში	13,885	129,834
	1,035,716	**6,721,879**

კომპანიის დაქვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკზე და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი წარმოდგენილია შენიშვნაში 16.

2018 წელს, 265 ათასი ლარის ოდენობით ფულადი სახსრები იქნა შეზღუდული ვალდებულებებთან მიმართებაში, რაც შემდგომ იქნა დაკმაყოფილებული 2019 წელს და შესაბამისად, შეზღუდვა გაუქმდა.

12. კაპიტალი

(a) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და კომპანიის კრებებზე უფლებამოსილნი არიან ხმების რაოდენობაზე, რომელიც შეესაბამება კომპანიაში წილის პროცენტს.

ლარი	2019	2018
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	71,614,319	34,873,282
საწესდებო კაპიტალის ზრდა	9,320,976	36,741,037
ნაშთი პერიოდის ბოლოს	**80,935,295**	**71,614,319**

2019 წლის განმავლობაში, მესაკუთრეების - შპს „წინანდლის სავანეს“ და სს „საპარტნიორო ფონდის“, გადაწყვეტილებების მიხედვით: - კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 9,320,976 ლარით რაც სრულად იქნა დაფარული ფულადი სახსრებით (2018: 36,741,037 ლარი, ასევე სრულად დაფარული ფულადი სახსრებით). 2019 წლის 31 დეკემბრისთვის და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის გადაუხდელი კაპიტალი იყო 503,087 აშშ დოლარი და 316,000 აშშ დოლარი, შესაბამისად.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისთვის, შპს „წინანდლის სავანეს“ მიერ ფლობილი კომპანიის კაპიტალი იქნა დაგირავებული სს „საპარტნიორო ფონდის“ სასარგებლოდ, 2016 წლის 2 სექტემბრით დათარიღებული, სს „საპარტნიორო ფონდს“, შპს „წინანდლის სავანესა“ და შპს „წინანდლის მამულებს“ შორის დადებული „პარტნიორთა შეთანხმების“ საფუძველზე, რომელსაც მოჰყვა 2016 წლის დეკემბერში დადებული გირაოს ხელშეკრულება.

(b) დამატებით გადახდილი კაპიტალი

კომპანიის მესაკუთრეების მიერ ფულადი სახსრების შენატანები კომპანიის კაპიტალში, კაპიტალის ზრდის შესახებ მესაკუთრეების შესაბამისი გადაწყვეტილებების გარეშე, კლასიფიცირდება როგორც დამატებით გადახდილი კაპიტალი. 2019 წლის 31 დეკემბრისთვის დამატებით გადახდილი კაპიტალი 1,168,333 ლარს შეადგენდა (2018 წლის 31 დეკემბერი: 1,168,333 ლარი).

სოფიო კაპანაძე

(c) გადაფასების რეზერვი

გადაფასების რეზერვი მიწის გადაფასებას უკავშირდება. გადაფასების ნამეტი მიწისთვის მოიცავს ქონების კუმულაციურ დადებით გადაფასებულ ღირებულებას, მანამ სანამ აქტივების აღიარება არ იქნება შეწყვეტილი ან გაუფასურებული.

(d) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, როგორც ეს აღრიცხულია კომპანიის ფასს-ის შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

13. კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, თუმცა ხელმძღვანელობა ცდილობს, შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალის ბაზა კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და ასევე ბაზრის მონაწილეთა ნდობის შესანარჩუნებლად. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით.

კომპანიაზე არ ვრცელდება კომპანიის გარედან დაწესებული კაპიტალის რაიმე მოთხოვნები.

14. სესხები და კრედიტები

წინამდებარე შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია კომპანიის პროცენტიანი სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით. კომპანიაზე საპროცენტო განაკვეთის, უცხოური ვალუტის და ლიკვიდურობის რისკის ზემოქმედების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 16.

ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მიმდინარე ვალდებულებები		
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	1,840,731	5,652,586
სესხი იურიდიული პირისგან უზრუნველყოფის გარეშე	413,579	-
	2,254,310	**5,652,586**
გრძელვადიანი ვალდებულებები		
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	26,118,196	25,444,645
სესხი დაკავშირებული მხარისგან უზრუნველყოფის გარეშე	787,899	731,400
სესხი იურიდიული პირისგან უზრუნველყოფის გარეშე	-	358,098
	26,906,095	**26,534,143**
	29,160,405	**32,186,729**

სოფიო კაპანაძე

(a) სესხის დაფარვის ვადები და გრაფიკი

დაუფარავი სესხების დაფარვის ვადები და პირობები არის შემდეგი:

				31 დეკემბერი 2019		31 დეკემბერი 2018	
ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
უზრუნველ -ყოფილი საბანკო სესხები	აშშ დოლარი	9% + LIBOR	2028	27,958,927	27,958,927	26,533,628	26,533,628
უზრუნველ -ყოფილი საბანკო სესხები	აშშ დოლარი	9% + LIBOR	2019	-	-	4,563,603	4,563, 603
სესხი დაკავშირებული მხარისგან უზრუნველ -ყოფის გარეშე	ლარი	11.3%	2022	787,899	787,899	731,400	731,400
სესხი იურიდიული პირისგან უზრუნველ -ყოფის გარეშე	აშშ დოლარი	15%	2020	413,579	413,579	358,098	358,098
სულ სესხები და კრედიტები				**29,160,405**	**29,160,405**	**32,186,729**	**32,186,729**

უზრუნველყოფილი საბანკო სესხები გადასახდელია სს „თიბისი ბაკის" მიმართ და უზრუნველყოფილია კომპანიის ძირითადი საშუალებებით (იხილეთ შენიშვნა 8(c)), შპს „წინანდლის სავანეს" სააქციო კაპიტალით (იხილეთ შენიშვნა 12) და კომპანის დაკავშირებული მხარეების კონკრეტული ფულადი სახსრების და მოთხოვნების ნაშთებით.

უზრუნველყოფილი საბანკო სესხები ექვემდებარება ფინანსურ და არაფინანსურ კოვენანტებს, საიდანაც ზოგიერთი იქნა დარღვეული 2019 წლის 31 დეკემბრისთვის (2018 წლის 31 დეკემბერი: არცერთი კოვენანტი არ ყოფილა დარღვეული). 2019 წლის 31 დეკემბრისთვის ბანკმა განაცხადა დარღვევით წარმოქმნილ უფლებაზე უარი.

(b) ვალდებულებების მოძრაობის ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან შეჯერება

ლარი	სესხები და კრედიტები	საიჯარო ვალდებულება	სულ
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	**32,186,729**	**501,712**	**32,688,441**
შემოსულობები სესხებიდან	2,210,975	-	2,210,975
სესხების დაფარვა	(7,748,645)	-	(7,748,645)
საიჯარო გადახდები	-	(664)	(664)
გადახდილი პროცენტი	(3,886,580)	(74,336)	(3,960,916)
სულ ცვლილებები ფულადი ნაკადების დაფინანსებიდან	**22,762,479**	**426,712**	**23,189,191**
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა	**2,315,937**	-	**2,315,937**
სხვა ცვლილებები			
საპროცენტო ხარჯი	4,081,989	74,336	4,156,325
სულ სხვა ცვლილებები	**4,081,989**	**74,336**	**4,156,325**
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**29,160,405**	**501,048**	**29,661,453**

სოფო ქავთარაძე

ლარი	სესხები და კრედიტები
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	**998,198**
შემოსულობები სესხებიდან	29,628,370
სესხების დაფარვა	(231,254)
გადახდილი პროცენტი	(1,331,967)
სულ ცვლილებები ფულადი ნაკადების დაფინანსებიდან	**29,063,347**
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა	**1,723,213**
სხვა ცვლილებები	
კაპიტალიზებული სასესხო ხარჯები	1,038,582
საპროცენტო ხარჯი	361,587
სულ სხვა ცვლილებები	**1,400,169**
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**32,186,729**

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ვალდებულებები ძირითადი საშუალებებისთვის	6,099,005	9,805,767
სხვა ვალდებულებები	1,034,439	1,547,740
	7,133,444	**11,353,507**

კომპანიის დაქვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკზე და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი წარმოდგენილია შენიშვნაში 16.

16. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(a) ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებელებები

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია ფასის განსაზღვრა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვიდან, ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის, ბაზრის მონაწილეებს შორის სტანდარტული ოპერაციის ფარგლებში, შეფასების თარიღისთვის. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულების გადაცემისას.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკის გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიიღება აქტივების გაყიდვიდან ან გადაიხდება ვალდებულებების გადაცემით შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეთა შორის სტანდარტულ ოპერაციებში. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება დაანგარიშდება მომავალი ძირი თანხისა და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც დისკონტირებულია საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებება მიახლოებულია მათ საბალანსო ღირებულებებთან.

სოფო კაპანაძე

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ 16(b)(ii));
- ლიკვიდურობის რისკი ((იხილეთ 16(b)(iii));
- საბაზრო რისკი (იხილეთ 16 (b)(iv)).

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

ხელმძღვანელობას აქვს მთლიანი პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დანერგვასა და ზედამხედველობაზე. მათ მოვალეობაში აგრეთვე შედის კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკის შემუშავება და მონიტორინგი და კომპანიის საქმიანობის შედეგების მესაკუთრეებისთვის წარდგენა.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა შეიქმნა იმისათვის, რომ დადგინდეს და გაანალიზდეს კომპანიის წინაშე მდგარი რისკები, განისაზღვროს რისკის სათანადო ზღვარი და კონტროლის მექანიზმები, ასევე განხორციელდეს რისკების მონიტორინგი და დადგენილი ზღვრის მკაცრი დაცვა. რისკების მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად განიხილება, რათა აისახოს შესაბამისი ცვლილებები საბაზრო პირობებში და კომპანიის საქმიანობაში. კომპანია მისი ტრენინგების, მმართველობითი სტანდარტებისა და პროცედურების დანერგვით, ცდილობს განავითაროს მოწესრიგებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, სადაც თანამშრომლებს გაცნობიერებული ექნებათ თავიანთი ფუნქციები და ვალდებულებები.

რისკების მონიტორინგისა და გამოვლენის ნაწილი, კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დელეგირებულია შპს „SRG Investments“-ზე, მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში. შპს „SRG Investments“-ი დაკავშირებულ მხარეს წარმოადგენს.

მესაკუთრეები ზედამხედველობას უწევენ, თუ რამდენად აკონტროლებს ხელმძღვანელობა კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკებთან და პროცედურებთან შესაბამისობას და განიხილავენ რისკების მართვის ჩარჩოების ადეკვატურობას იმ რისკებთან მიმართებაში, რომლის წინაშეც დგას კომპანია.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაგენტი ვერ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი ძირითადად წარმოიშვება კომპანიის დებიტორული დავალიანებიდან და საბანკო ნაშთებიდან. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები მაქსიმალურ საკრედიტო დაქვემდებარებას წარმოადგენს.

დებიტორული დავალიანება

კომპანიის საკრედიტო რისკზე დაქვემდებარებაზე ინდივიდუალური მახასიათებლები მოქმედებს. თუმცა, ხელმძღვანელობა ასევე ითვალისწინებს ფაქტორებს რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ მომხმარებლის საკრედიტო რისკზე, მათ შორის იმ ინდუსტრიისა და ქვეყნის დეფოლტის რისკი რომელშიც ოპერირებს კლიენტი.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანია არ არის დაქვემდებარებული დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის არსებით ოდენობას, რადგან ის უმეტესად შედგება მოთხოვნებისგან შპს „წინანდლის ვილების“ მიმართ, 2016 წლის მაისში გაყიდული მიწის ნაკვეთებისთვის (შენიშვნა 9), რომელიც წარმოადგენს საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოს. არცერთი მოთხოვნა არ არის გაუფასურებული. საკრედიტო რისკი (გარდა მიწის გაყიდვიდან მიღებული მოთხოვნისა) უმეტესწილად იმართება კლიენტებისგან ავანსების მოთხოვნის გზით. კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად რამოდენიმე იურიდიული პირის მიმართ მოთხოვნებისგან შედგება. კომპანიის საკრედიტო დაქვემდებარება ძირითადად საქართველოშია კონცენტრირებული.

სოფო კაპანაძე

საბანკო ნაშთები

კომპანიას მისი ფულადი სახსრების უმეტესობა განთავსებული აქვს ქართულ ბანკში, მოკლევადიანი ემიტენტის დეფოლტ რეიტინგით B, საერთაშორისო სააგენტო Fitch-ის შეფასების მიხედვით. კომპანია არ მოელის, რომ რომელიმე კონტრაგენტი ვერ მოახერხებს კომპანიის მიმართ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და შესაბამისად სჯერა, რომ კომპანია არსებითად არ არის დაქვემდებარებული ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტებიდან წარმოშობილ საკრედიტო რისკს.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. კომპანია შეძლებისდაგვარად ცდილობს ლიკვიდურობის მართვის უზრუნველყოფას, რათა ყოველთვის ჰქონდეს ვალდებულების ვადაში დაფარვის შესაძლებლობა, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდში, არასაჭირო დანაკარგების ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

როგორც წესი, კომპანია უზრუნველყოფს რომ ჰქონდეს საკმარისი ფულადი სახსრები მოთხოვნამდე, მისი კაპიტალური და საოპერაციო ხარჯების დასაკმაყოფილებლად 30 დღიანი პერიოდისთვის (ფინანსური ვალდებულებების დაკმაყოფილების ჩათვლით). თუმცა აღნიშნული არ ითვალისწინებს იმ ექსტრემალური სიტუაციების შესაძლო ზეგავლენებს, რომელთა წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია, როგორიც არის ბუნებრივი კატასტროფები. ამასთანავე, კომპანიის შუალედურმა მშობელმა კომპანიამ, შპს „SRG Real Estate“-მა, მისი მხარდაჭერის წერილის საშუალებით აჩვენა, რომ მას აქვს განზრახვა, უახლოეს მომავალში კომპანია უზრუნველყოს ფინანსური და სხვა სახის მხარდაჭერით, რაც საშუალებას მისცემს კომპანიას გააგრძელოს მისი საოპერაციო არსებობა (შენიშვნა 2(b)).

ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს, რომ მისი ინვესტირების საქმიანობები იყოს დაფინანსებული სესხებისა და კრედიტების საშუალებით ან კაპიტალის შენატანებით, მანამ სანამ კომპანიის შემოსავლები არ დასტაბილურდება.

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო დაფარვის ვადები, სავარაუდო საპროცენტო გადახდების ჩათვლით და ურთიერთგაქვითვის ხელშეკრულებების გავლენის გამოკლებით:

31 დეკემბერი 2019

	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები				
	საბალანსო ღირებულება	სულ	1 წლის განმავლობაში	2-5 წლამდე	5 წელზე მეტი
ლარი					
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
სესხები და კრედიტები	29,160,405	44,795,967	5,163,795	21,135,541	18,496,631
კრედიტორული დავალიანება	7,133,444	7,133,444	7,133,444	-	-
საიჯარო ვალდებულება	501,048	2,733,750	75,000	300,000	2,358,750
	36,794,897	**54,663,161**	**12,372,239**	**21,435,541**	**20,855,381**

31 დეკემბერი 2018

	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები				
	საბალანსო ღირებულება	სულ	1 წლის განმავლობაში	2-5 წლამდე	5 წელზე მეტი
ლარი					
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
სესხები და კრედიტები	32,186,729	50,835,260	9,066,960	15,354,760	26,413,539
კრედიტორული დავალიანება	11,353,507	11,353,507	11,353,507	-	-
	43,540,236	**62,188,767**	**20,420,467**	**15,354,760**	**26,413,539**

სოფიო კაპანაძე

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლით კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ფასებს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს იმდენად, რამდენადაც არსებობს შეუსაბამობა ვალუტებში რომლებშიც დენომინირებულია კომპანიის გაყიდვები, შესყიდვები და სესხები და კომპანიის სამუშაო ვალუტას შორის - ლარი. ვალუტები, რომლებშიც ძირითადად დენომინირებულია ეს გარიგებები, არის აშშ დოლარი და ევრო.

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

კომპანიის დამოკიდებულება უცხოურ სავალუტო რისკზე არის შემდეგი (ნომინალური ოდენობების მიხედვით):

ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2019	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2018
დებიტორული დავალიანება	148,166	1,017,108
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	314,158	4,943,542
სესხები და კრედიტები	(28,372,506)	(31,455,329)
კრედიტორული დავალიანება	(5,520,506)	(8,486,591)
წმინდა დაქვემდებარება	**(33,430,688)**	**(33,981,270)**

ლარი	ევროში დენომინირებული 31 დეკემბერი 2019	ევროში დენომინირებული 31 დეკემბერი 2018
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,410	31,632
კრედიტორული დავალიანება	(440,247)	(421,441)
წმინდა დაქვემდებარება	**(436,837)**	**(389,809)**

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო განაკვეთი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული განაკვეთი	
	2019	2018	2019	2018
1 აშშ დოლარი	2.8192	2.5345	2.8677	2.6766
1 ვერო	3.1553	2.9913	3.2095	3.0701

მგრძნობელობის ანალიზი

31 დეკემბრის მდგომარეობით ლარის გონივრული შესაძლო გამყარება/(შესუსტება), ქვემოთ მითითებულის შესაბამისად, აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში, გავლენას იქონიებდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და მოგებაზე ან ზარალზე ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობებით. ანალიზი აკეთებს დაშვებას, რომ ყველა სხვა ცვლადი, განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი რჩება და უგულვებელყოფს საპროგნოზო გაყიდვებისა და შესყიდვების გავლენას.

სოფიო ქაჭანაძე

ლარი	გამყარება	შესუსტება
	მოგება ან (ზარალი)	მოგება ან (ზარალი)
31 დეკემბერი 2019		
აშშ დოლარი (10% -იანი მოძრაობა)	3,343,069	(3,343,069)
ევრო (10% -იანი მოძრაობა)	43,684	(43,684)
31 დეკემბერი 2018		
აშშ დოლარი (10% -იანი მოძრაობა)	3,398,127	(3,398,127)
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	38,981	(38,981)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, ძირითადად გავლენას ახდენს სესხებსა და კრედიტებზე, რადგან ეს ცვლის სესხის სამართლიან ღირებულებას (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მის მომავალ ფულად ნაკადებს (სესხი ცვალებადი განაკვეთით). ხელმძღვანელობას არ გააჩნია ფორმალური პოლიტიკა, რომ განსაზღვროს თუ რამდენი უნდა იყოს კომპანიის დაქვემდებარებიდან ფიქსირებული და რამდენი ცვლადი განაკვეთების მქონე. თუმცა, ახალი სესხების შეგროვების ან გაცემისას, ხელმძღვანელობა იყენებს საკუთარ განსჯას იმის გადასაწყვეტად ფიქსირებული განაკვეთი უფრო ხელსაყრელი იქნება კომპანიისთვის თუ ცვლადი, მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, დაფარვის ვადამდე.

საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება

საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანიის პროცენტიანი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთის პროფილი იყო:

ლარი	2019	2018
ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტები		
ფინანსური ვალდებულებები	1,201,478	1,089,498
	1,201,478	**1,089,498**

ლარი	2019	2018
ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტები		
ფინანსური ვალდებულებები	27,958,927	31,097,231
	27,958,927	**31,097,231**

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

კომპანია არ აღრიცხავს ფიქსირებულგანაკვეთიან ფინანსურ ინსტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით ან გასაყიდად ხელმისაწვდომის კატეგორიაში. შესაბამისად, ცვლილება საპროცენტო განაკვეთებში ანგარიშგების თარიღისთვის არ იმოქმედებდა მოგებაზე ან ზარალზე ან კაპიტალზე.

ფულადი სახსრების მგრძნობელობის ანალიზი ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

100 საბაზისო პუნქტიანი გონივრული შესაძლო ცვლილება საპროცენტო განაკვეთებში ანგარიშგების თარიღისთვის, 279,589 ლარის ოდენობით გავლენას იქონიებდა მოგებაზე ან ზარალზე (2018: 310,972 ლარი). ეს ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვალებადი მაჩვენებელი, კონკრეტულად, უცხოური ვალუტის კურსები, უცვლელი დარჩება.

სოფიო კაპანაძე

17. ვალდებულებები

კაპიტალური ვალდებულებები

2019 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიას ჰქონდა 303,839 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებების შესყიდვის პოტენციური სახელშეკრულებო ვალდებულება (2018 წლის 31 დეკემბერი: 2,616,257 ლარი).

18. პირობითი ვალდებულებები

(a) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ მიმოხილვისთვის მომდევნო სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებებში, საგადასახადო წელი შეიძლება უფრო დიდი ხნის განმავლობაში დარჩეს დაუხურავი.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით მაღალია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიისეული ინტერპრეტაციისგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(b) სასამართლო დავა

საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია სასამართლო სარჩელების, საქმეთწარმოებების და დავების საგანს წარმოადგენს. ხელმძღვანელობის აზრით, ამგვარი სამართალწარმოებებიდან და საჩივრებიდან წარმოშობილ საბოლოო ვალდებულებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ფინანსურ მდგომარეობაზე ან მომავალი ოპერაციების შედეგებზე.

19. დაკავშირებული მხარეები

(a) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანიებია: შპს „წინანდლის სავანე“ (66.57%) და სს „საპარტნიორო ფონდი“ (33.43%) (შენიშვნა 1(b)) და კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანია არის “Silk Road Group Holding (Malta) Limited”-ი. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის ფიზიკური პირი, გიორგი რამიშვილი (იხილეთ ასევე შენიშვნა 1 (b). კომპანიის საბოლოო ან პირდაპირი მშობელი კომპანიები არ გამოსცემენ საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას. შპს „SRG Real Estate“-ის (შუალედური მშობელი კომპანია) წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საჯაროდ ხელმისაწვდომია ბუღალტრული აღირცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ვებგვერდზე.

(b) წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წამყვან ხელმძღვანელობას წლის განმავლობაში მიღებული აქვს შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შედის ხელფასების და თანამშრომელთა სხვა სარგებლის კატეგორიაში:

ლარი	2019	2018
ხელფასები და სხვა სარგებელი	456,426	342,237

(c) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიის ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან და ოპერაციები მესაკუთრეებთან, რომლებიც არ მოქმედებენ მესაკუთრეების უფლებამოსილების ფარგლებში, წარმოდგენილია ქვემოთ.

ლარი	გარიგების ღირებულება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის		დაუფარავი ნაშთი 31 დეკემბრისთვის	
	2019	2018	2019	2018
შემოსავალი:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	1,154,544	19,897	15,830	2,432
ძირითადი საშუალებების შეძენა:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	292,285	1,747,102	-	143,402
მიღებული სესხები:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	-	-	787,899	731,400
კრედიტორული დავალიანება:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	665,722	2,783,767	327,763	714,503
დებიტორული დავალიანება მიწის გაყიდვიდან:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	-	-	150,396	1,017,108
ფასს 16-ისფარგლებში დარიცხული პროცენტი/საოჯარო ვალდებულება:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	74,336	-	501,048	-

გარიგების ღირებულებები წარმოადგენს თავდაპირველ გარიგებებს და არ ითვალისწინებს გარიგებების დაკმაყოფილებას. ყველა დაუფარავი ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან, გარდა სასესხო მოთხოვნებისა, უნდა იქნეს დაკმაყოფილებული ფულადი სახსრებით საანგარიშგებო თარიღიდან ერთი წლის განმავლობაში. არცერთი დაკავშირებული მხარის ნაშთი არ არის უზრუნველყოფილი.

2019 წლის განმავლობაში, 56,500 ლარის ოდენობით საპროცენტო ხარჯი (2018: 56,500 ლარი) იქნა აღიარებული მოგებაში ან ზარალში დაკავშირებული მხარეებისგან აღებულ სესხებთან და კრედიტებთან მიმართებაში. დაკავშირებული მხარეებისგან აღებული სესხების საპროცენტო განაკვეთები და დაფარვის ვადები წარმოდგენილია შენიშვნაში 14(a).

20. შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა მიწისა, რომელიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის.

ხოვი კაპანაძე

21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში, გარდა 2019 წლის 1 იანვრიდან ფასს 16-ის გამოყენებისა, როგორც აღწერილია შენიშვნაში 5 და თანმიმდევრულად გამოიყენებოდა კომპანიის მიერ.

(a) შემოსავალი

შემოსავალი ფასდება კლიენტთან დადებულ ხელშეკრულებაში მითითებული ანაზღაურების მიხედვით. კომპანია აღიარებს შემოსავალს მაშინ როდესაც ის გადასცემს საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლს მომხმარებელს.

ოთახების გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი - სასტუმროს ოთახების კლიენტებზე გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი, ყოველდღიურ საფუძველზე, წინასწარ განსაზღვრული საფასურის სანაცვლოდ. შემოსავალი ოთახების გაქირავებიდან აღიარდება სტუმრის მიერ სასტუმროში სრულად გატარებული ღამეების მიხედვით.

შემოსავალი აღიარდება დროის განმავლობაში მომსახურების გაწევასთან ერთად. ასაღიარებელი შემოსავლის დასადგენად დასრულების ეტაპი ფასდება სტუმრების მიერ სასტუმროში გატარებული სრული ღამეების რაოდენობის მიხედვით.

საკვების და სასმელის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი - რესტორნებისა და ბარების საშუალებით, საკვების და სასმელის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი.

შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც კლიენტი ჩაიბარებს საქონელს. კომპანია აღიარებს შემოსავალს დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც ის გადასცემს კონტროლს, საქონლის გაყიდვისთვის და გარკვეული დროის განმავლობაში - მომსახურების გაწევისთვის, თუმცა მომსახურება გაიწევა არა-არსებითად მოკლე დროის პერიოდში. შემოსავალი აღიარდება სახელშეკრულებო ანაზღაურების მიხედვით, კლიენტებზე დარიცხული დღგ-ს გამოკლებით.

სხვა შემოსავალი - დამატებითი მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი, მაგალითად სპა პროცედურები, მასაჟი და სხვა მომსახურებები, რომლებიც შეტანილია სხვა შემოსავალში.

შემოსავალი აღიარდება დროის განმავლობაში მომსახურების გაწევასთან ერთად. ასაღიარებელი შემოსავლის განსაზღვრის მიზნით დასრულების ეტაპი ფასდება დასრულებული სამუშაოების მიხედვით, თუმცა მომსახურება გაიწევა არა-არსებითად მოკლე დროის პერიოდში.

(b) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო შემოსავალს;
- საპროცენტო ხარჯს;
- უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილ შემოსულობას ან ზარალს ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე.

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება მათი დარიცხვისთანავე მოგებაში ან ზარალში, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული ამონაგები ან ზარალი აღირიცხება ნეტო საფუძველზე, ფინანსური შემოსავლის ან ფინანსური ხარჯის სახით, იმის მიხედვით მოძრაობა უცხოური ვალუტის გაცვლით კურსში წმინდა მოგების პოზიციაშია, თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

(c) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია ლარში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ამონაგები ან ზარალი ფულად მუხლებზე, წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზირებულ ღირებულებასა (კორექტირებული ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში) და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის (რომელიც კონვერტირებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით).

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც ფასდება ისტორიული ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში გარიგების თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(d) მოგების გადასახადი

ზოგადად, მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მოგების გადასახადი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ის უკავშირდება ბიზნეს შერწყმას, ან პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღისათვის, წინა წლებთან მიმართებაში საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი კორექტირების ჩათვლით. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა მოგვიანებით.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის.

სოფო კაპანაძე

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც ხორციელდება დივიდენდების გადახდა. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა გამოითვლება როგორც წმინდა განაწილების ოდენობის 15/85-ი.

საგადასახადო ჩათვლა გამოცხადებულ და გადახდილ დივიდენდებზე ვრცელდება 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილ მოგების გადასახადზე, თუ ასეთი მოგება ნაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებებს და ზღვარს გადაცდენილ წარმომადგენლობით ხარჯებს. კომპანია ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და აღრიცხავს სხვა გადასახადების მუხლში (მოგების გადასახადის გარდა).

(e) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. თვითწარმოებული აქტივის ღირებულება შედგება მასალების, პირდაპირი შრომითი და ნებისმიერი სხვა დანახარჯებისგან, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოყვანას, ერთეულების დემონტაჟის და გატანის ხარჯებს და ადგილმდებარეობის დასუფთავების სამუშაოების ჩატარების ღირებულებას, ასევე კაპიტალიზებულ სასესხო ხარჯებს. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზდება ძირითადი საშუალების ღირებულების ნაწილის სახით.

როდესაც ძირითადი საშუალების მნიშვნელოვან ნაწილებს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვთ, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ძირითადი კომპონენტები.

ძირითადი საშუალებების გაყიდვით მიღებული ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება გაყიდვიდან მიღებული ამონაგების ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება ნეტო სახით, მოგებაში ან ზარალში სხვა შემოსავლის/სხვა ხარჯების ფარგლებში, მოგებაში ან ზარალში. გადაფასებული აქტივების გაყიდვისას, ნებისმიერი დაკავშირებული ოდენობა, რომელიც შეტანილია გადაფასების რეზერვში გადაფასების ნამეტის სახით გადადის გაუნაწილებელ მოგებაში.

(ii) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მოსალოდნელია, რომ დანახარჯთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება.

ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მომსახურების ხარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი დარიცხვისთანავე.

სოფიო კაპანაძე

(iii) მიწის გადაფასება

მიწა ფასდება სამართლიანი ღირებულებით, გარე დამოუკიდებელი შემფასებლების პერიოდული შეფასებების მიხედვით. გადაფასების ზრდა მიწაზე აღიარდება პირდაპირ გადაფასების რეზერვის მუხლში, სხვა სრულ შემოსავალში. თუმცა, ზრდა აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ის აღადგენს იგივე აქტივის გადაფასების შემცირებას, რომელიც ადრე მოგებაში ან ზარალში იყო აღიარებული.

გადაფასების შემცირება მიწაზე აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუმცა, შემცირება აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, გადაფასების რეზერვში არსებული ნებისმიერი საკრედიტო ნაშთის ოდენობით.

(iv) ცვეთა

ძირითადი საშუალებების ერთეულები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზა მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან კომპანიის შიდა ძალებით დამზადებულ აქტივთან მიმართებაში, მათი დასრულების და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის თარიღიდან. ცვეთა ეფუძნება აქტივის ღირებულებას, მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ცვეთის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის მიხედვით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ნიმუშს. იჯარით აღებულ აქტივებს ცვეთა ერიცხებათ საიჯარო ვადასა და მათ სასარგებლო მომსახურების ვადებს შორის უმცირესის მიხედვით, გარდა შემთხვევებისა როდესაც გონივრულად მოსალოდნელია რომ იჯარის ვადის ბოლოს კომპანია აქტივზე საკუთრების უფლებას მოიპოვებს. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების ერთეულების მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადები, მიმდინარე და შესადარის პერიოდებში, შემდეგია:

– შენობა-ნაგებობები	5-35 წელი
– ავეჯი და აღჭურვილობა	5-10 წლამდე

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაიხედება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის და იცვლება საჭიროებისამებრ.

(f) იჯარები

კომპანიამ ფასს 16-ი მიიღო მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით და მაშასადამე, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული და კვლავ ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის ფარგლებში არის წარმოდგენილი. ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის ფარგლებში სააღრიცხვო პოლიტიკების დეტალები განხილულია ცალკე.

2019 წლის 1 იანვრიდან გამოყენებული პოლიტიკა

ხელშეკრულების დადებისას, კომპანია განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას, თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად გადასცემს თუ არა ხელშეკრულება კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას, კომპანია ფასს 16-ის იჯარის განმარტებას იყენებს.

სოფიო კაპანაძე

როგორც მოიჯარე

კომპანია აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებას იჯარის დაწყების თარიღისთვის. აქტივი გამოყენების უფლებით თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ ოდენობას კორექტირებულს ნებისმიერი საიჯარო გადახდებით, რომლებიც დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელდა, დამატებული ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირ გაწეული ხარჯები და აქტივის დაშლის და შესაბამისი აქტივის გატანის ან მისი აღდგენის ან იმ ტერიტორიის აღდგენის ხარჯები სადაც აღნიშნული აქტივი მდებარეობდა, გამოკლებული ნებისმიერი მიღებული საიჯარო სტიმულირება.

შემდგომ ხდება გამოყენების უფლებით აქტივის ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის დაწყებიდან მისი დასრულების თარიღამდე, გარდა შემთხვევებისა როდესაც იჯარა გადასცემს შესაბამისი აქტივის მფლობელობას კომპანიას იჯარის ვადის ბოლოს, ან იმ შემთხვევაში თუ გამოყენების უფლებით აქტივის თვითღირებულება ასახავს კომპანიის მხრიდან შესყიდვის შესაძლებლობის გამოყენებას. ამ შემთხვევაში მოხდება „აქტივი გამოყენების უფლებით“ ცვეთა შესაბამისი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე, რომელიც ძირითადი საშუალებების მსგავს საფუძველზე განისაზღვრება. ამასთანავე, „აქტივი გამოყენების უფლებით“ პერიოდულად შემცირებულია გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების კონკრეტული გადაფასებებით.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც არ არის გადახდილი დაწყების თარიღისათვის, დისკონტირებული იჯარაში ჩართული საპროცენტო განაკვეთით ან, თუ აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა დროულად ვერ ხერხდება, კომპანიის მზარდი სასესხო განაკვეთით. ზოგადად, კომპანია დისკონტირების განაკვეთად მის მზარდ სასესხო განაკვეთს იყენებს.

კომპანია მის მზარდ სასესხო განაკვეთს განსაზღვრავს სხვადასხვა გარე ფინანსური წყაროებიდან საპროცენტო განაკვეთების მოპოვების გზით და მათი გარკვეული კორექტირებით, საიჯარო პირობების და იჯარით აღებული აქტივის სახეობის ასახვის მიზნით.

საიჯარო ვალდებულების შეფასებაში შეტანილი საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს, მათ შორის „არსებით“ ფიქსირებულ გადახდებს.

საიჯარო ვალდებულება შემდგომ გაზრდილია საპროცენტო ხარჯით საიჯარო ვალდებულებაზე და შემცირებულია განხორციელებული საიჯარო გადახდებით. საიჯარო ვალდებულება ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ის გადაფასებულია თუ კომპანია შეცვლის შეფასებას იმისა გამოიყენებს თუ არა ის შესყიდვის, გახანგრძლივების ან შეწყვეტის შესაძლებლობას ან არსებობს თუ არა გადახედილი არსებითი ფიქსირებული საიჯარო გადახდა.

როდესაც საიჯარო ვალდებულება მსგავსი გზით გადაფასდება, ხდება გამოყენების უფლების მქონე აქტივის საბალანსო ღირებულების შესაბამისი კორექტირება, ან აღრიცხულია მოგებაში ან ზარალში თუ ამ აქტივის საბალანსო ღირებულება შემცირებულია ნულამდე.

საიჯარო ვადა ასახავს კომპანიის მიერ იმ პერიოდის გონივრულ შეფასებას, რომლის განმავლობაშიც შესაბამისი აქტივი იქნება გამოყენებული. საიჯარო ვადის განსაზღვრისას კომპანია მის განსჯას კონტრაქტის და შესაბამისი აქტივის ფართო ეკონომიკაზე და არა მხოლოდ სახელშეკრულებო პირობებზე აფუძნებს, რაც იძლევა საშუალებას, რომ ფაქტორები როგორებიცაა ეკონომიკური ჯარიმები, საკანონმდებლო მიდგომა იჯარის განახლებაზე, მოსალოდნელი ცვლილებები რეგულაციაში და კომპანიის სამომავლო ბიზნეს გეგმები ეფექტურად იყოს ასახული საიჯარო ვადის შეფასებაში.

სოფო კაპანაძე

2019 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული პოლიტიკა

როგორც მოიჯარე

შესადარის პერიოდში, კომპანიას არ ჰქონდა ფინანსურ იჯარებად კლასიფიცირებული იჯარები.

სხვა იჯარების ფარგლებში ფლობილი აქტივები კლასიფიცირებული იყო საოპერაციო იჯარების სახით და არ იყო აღიარებული კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. საოპერაციო იჯარების ფარგლებში განხორციელებული გადახდები აღიარებულ იქნა მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით იჯარის ვადის მანძილზე. მიღებული საიჯარო სტიმულირება აღიარდა მთლიანი საიჯარო ხარჯის განუყოფელი ნაწილის სახით, იჯარის ვადის მანძილზე.

(g) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება მათი წარმოშობის თარიღისთვის. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება, როდესაც კომპანია ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე ხდება.

ფინანსური აქტივი (თუ ის არ არის სავაჭრო მოთხოვნა არსებითი ფინანსური კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება, თავდაპირველად შეფასებულია სამართლიან ღირებულებას დამატებული (არა სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ერთეულისთვის) მის შეძენასთან ან გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. სავაჭრო მოთხოვნა არსებითი ფინანსური კომპონენტის გარეშე თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით.

(ii) კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

პირველადი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე, როგორც აღირიცხება: ამორტიზირებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლში ასახვით - ვალის ინვესტიცია; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლში ასახვით - კაპიტალის ინვესტიცია; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

პირველადი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას მანამ, სანამ კომპანია არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი საანგარიშგებო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ვალის ინვესტიცია აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით თუ ის აკმაყოფილებს შემდგომ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და

სოფიო კაპანაძე

- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ყველა ფინანსური აქტივი რომელიც არ კლასიფიცირდება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავალში ასახვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური ვალდებულებები - კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და შემოსულობა და ზარალი

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე, როგორც აღირიცხება - ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ ის არის სავაჭროდ გამიზნული, წარმოებულია ან გამიზნულია ესეთად პირველადი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა ამონაგებით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და უცხოური გაცვლითი კურსიდან ამონაგები და ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი ამონაგები ან ზარალი აღიარების შეწყვეტისას ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების ცვლილება

ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები იცვლება, კომპანიამ უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუ არა შეცვლილი აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „არსებითი ცვლილება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარება წყდება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

კომპანია ახორციელებს მოცემული ცვლილების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუ არა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები შეცვლილი ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. კომპანია აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

კომპანია ასკვნის, რომ ცვლილება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;

თუ ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული, შეცვლილი აქტივისგან მიღებული ფულადი ნაკადები, არ არის არსებითად შეცვლილი, მაშინ ცვლილების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება არ წყდება. ამ შემთხვევაში, კომპანია ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას წარმოქმნილ თანხას აღრიცხავს როგორც შემოსულობის ან ზარალის კორექტირებას მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ხელახლა ითვლება როგორც შეცვლილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს შეცვლილ ფინანსურ აქტივს და არის ამორტიზირებული შეცვლილი ფინანსური აქტივის ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც იცვლება მისი პირობები და არსებითად განსხვავდება შეცვლილი ფინანსური ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი შეცვლილ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა ჩამოწერილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ შეცვლილპირობებიან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ ცვლილება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას კომპანია იყენებს ფინანსური აქტივის სრული საბალანსო ღირებულების კორექტირებისას გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. როდესაც ცვლილება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას კომპანია აღიარებს ესეთი ცვლილებიდან (ან გაცვლიდან) წარმოშობილ, ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულების ნებისმიერ კორექტირებას, მოგებაში ან ზარალში, ცვლილების (გაცვლის) თარიღში.

ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ მიიჩნევა კორექტირებად, თუ ისინი წარმოიშვა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას არსებული საბაზრო განაკვეთის შესაბამისად, კომპანია ხელმძღვანელობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტებით. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისად იცვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთიც.

კომპანია აფასებს არსებითია თუარა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. კომპანია ასკვნის, რომ ცვლილება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ფინანსური ვალდებულების ვალუტის ცვლილება;
- ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- კონვერტაციის ფუქნციის დამატება;
- ცვლილება ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციაში.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდად გადახდილი თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. თუ ვალის ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების ცვლილება მიჩნეულია ვალის განულებად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აღიარებულია ვალის განულებიდან მიღებულ მოგებასა ან ზარალში. თუ გაცვლა ან ცვლილება არ არის მიჩნეული ვალის განულებად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზირებულია შეცვლილი ვალდებულების ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

სოფიო კაპანაძე

(iv) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებებს გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და კომპანია არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე კონტროლს.

კომპანია დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკსა და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მის სახელშეკრულებო ვალდებულებები შესრულებულია, უქმდება ან ვადა გასდის. კომპანია ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როცა მისი პირობები იცვლება და შეცვლილი ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც კორექტირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი არაფულადი აქტივების გადაცემის და ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(v) ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ, მაშინ როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

(h) კაპიტალი

(i) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება კაპიტალის სახით.

კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება რომლის მიხედვითაც კომპანია საწესდებო კაპიტალის სახით მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მხოლოდ მესაკუთრეების გადაწყვეტილებების მიერ ნებადართულ ფულადი სახსრების შენატანებს და ასახავს ფულად სახსრებს, რომლებიც არის ნებადართული, მაგრამ ჯერ არ არის შეტანილი საწესდებო კაპიტალში - გადაუხდელი კაპიტალის სახით, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში (იხილეთ შენიშვნა 12(a)).

(ii) დამატებით გადახდილი კაპიტალი

ფულადი შენატანები კომპანიის კაპიტალში კომპანიის მესაკუთრეების მიერ, საწესდებო კაპიტალის ზრდის შესახებ მესაკუთრეთა შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე, კლასიფიცირდება დამატებით გადახდილი კაპიტალის სახით (შენიშვნა 12(b)).

სოფო კაპანაძე

(i) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები - 2018 წლის 1 იანვრიდან გამოყენებული პოლიტიკა

კომპანია ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის აღიარებს ზარალის რეზერვებს.

კომპანია აფასებს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა, როდესაც აღირიცხება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სასესხო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც სააღრიცხვო თარიღისთვის აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი; და
- სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები, რომლებისთვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ზარალის რეზერვები სავაჭრო მოთხოვნებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი დამატებითი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ, ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

კომპანია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს, როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

კომპანია ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ, როდესაც:

- არ არის სავარაუდო, რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს კომპანიის მიმართ, კომპანიის მიერ უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსურ აქტივი 90 დღეზე მეტია ვადაგადაცილებულია;.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშობა ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი, რომელიც წარმოიშობა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევებისაგან (ან უფრო მოკლე ვადაში თუ ფინანსური ინსტრუმენტის მოხმარების ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც კომპანია დაქვემდებარებულია საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის ალბათობაზე დაფუძნებული სავარაუდო საკრედიტო ზარალი. საკრედიტო ზარალი ფასდება ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე ღირებულებით (ანუ სხვაობა ორგანიზაციიდან ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს შორის).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

კრედიტით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, კომპანია აფასებს, არის თუ არა ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები გაუფასურებული კრედიტით. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია კრედიტით“, როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია კრედიტით მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

- მსესხებლის ან ემიტენტის არსებითი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად, დეფოლტი, ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- კომპანიის მიერ წინსწრების ან სესხის რესტრუქტურიზაცია იმ პირობებით, რომლებსაც კომპანია სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელია მსესხებელის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაციის გამოყენება; ან
- ფინანსური სირთულეების გამო უზრუნველყოფის აქტიური ბაზრის გაქრობა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენა

ზარალის რეზერვები ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, აკლდება აქტივების მთლიან საბალანსო ღირებულებას.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოწერილია როდესაც კომპანიას აღარ აქვს მისი მთლიანობაში ან ნაწილობრივ ამოღების გონივრული მოლოდინი. კომპანია ინდივიდუალურად აფასებს ჩამოსაწერ ოდენობას და ვადებს, იმის მიხედვით არის თუ არა გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მოხერხდება თანხის ამოღება. კომპანია აღარ ელის ჩამოწერილი თანხიდან არსებითი ოდენობის ამოღებას. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება კიდევ დაექვემდებაროს აღსრულების მცდელობას კომპანიის მხრიდან ვადაგასული თანხების ამოღების პროცედურების შესაბამისად.

(ii) არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები (მარაგების და გადავადებული საგადასახადო აქტივების გარდა) განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის აღდგენადი ღირებულება.

სოფიო კაპანაძე

გაუფასურების შემოწმების მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების შემოდინებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც ძირითადად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ფულადი შემოდინებებისგან. კომპანიის კორპორატიული აქტივები არ ახდენენ ცალკეული ფულადი ნაკადების შემოდინებების გენერეირებას და გამოიყენებიან ერთზე მეტი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მიერ. კორპორატიული აქტივები განაწილებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე გონივრულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შემოწმების ნაწილის სახით, რომელსაც მიეკუთვნება კორპორატიული აქტივი.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე (გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით), რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის სავარაუდო აღდგენად ღირებულებას. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში შემავალი აქტივების საბალანსო ღირებულებაზე წილობრივ საფუძველზე და ამცირებს მას.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის იმის თაობაზე, შემცირდა თუ არა ზარალი ან კვლავაც არსებობს თუ არა ზარალი. გაუფასურების ზარალი აღდგენილია თუ აღდგენადი ღირებულების დასადგენად გამოყენებულ შეფასებებშია ცვლილება. გაუფასურების ზარალი აღდგენილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რაც იქნებოდა განსაზღვრული (გაუფასურების ან ამორტიზაციის გამოკლებით) გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

(j) თანამშრომელთა სარგებელი

თანამშრომელთა მოკლევადიანი ანაზღაურების ვალდებულებები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღიარდება შესაბამისი მომსახურების გაწევისას.
ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსების ან მოგების განაწილების გეგმების საფუძველზე, თუ კომპანიას აქვს მიმდინარე სამართლებრივი და კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ამგვარი თანხა თანამშრომლის მიერ წარსულში გაწეული მომსახურებისთვის და ამგვარი ვალდებულება შეიძლება საიმედოდ იქნას შეფასებული.

22. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები, რომლებიც 2020 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენებაც ნებადართულია); თუმცა კომპანიას ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შეცვლილი სტანდარტები მიღებული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას.

სოფრო კაპანაძე

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი კორექტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- *კორექტირებები ფასს სტანდარტების კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებებში.*
- *ბიზნესის განმარტება (ფასს 3-ის კორექტირებები).*
- *არსებითის განმარტება (ბასს 1-ისა და ბასს 8-ის კორექტირებები).*
- *საპროცენტო განაკვეთის ბენჩმარკის რეფორმა (ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7-ის კორექტირებები).*
- *ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები.*
- *ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის კორექტირებები).*

23. შემდგომი მოვლენები

(a) COVID-19

COVID-19-ის გამოჩენამ 2020 წლის დასაწყისში და მისმა სწრაფმა გავრცელებამ მსოფლიოს გარშემო, იქონია არსებითი გავლენა და ცვლილებები შეიტანა ბიზნეს გარემოში მსოფლიოს გარშემო ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც.

2020 წლის 11 მარტს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) COVID-19 კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა. COVID-19 -ის საზოგადოების ჯანმრთელობისთვის პოტენციურად სერიოზული საფრთხის საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ზომები მიიღო, რაც მოიცავს ტრანსსასაზღვრო გადაადგილებაზე შეზღუდვების დაწესებას, უცხოელი სტუმრებისთვის ქვეყანაში შემოსვლის შეზღუდვებს და ბიზნეს საზოგადოებისთვის მითითების მიცემას, რომ თანამშრომლები სახლიდან მუშაობის რეჟიმზე გადაიყვანონ. 2020 წლის მარტის განმავლობაში, რეგიონალურმა უფლებამოსილმა ორგანოებმა ეტაპობრივად შემოიღეს დამატებითი ზომები სოციალური დისტანცირების გასაძლიერებლად, სკოლების, უნივერსიტეტების, რესტორნების, კინოთეატრების, თეატრების და მუზეუმების და სპორტული დაწესებულებების დახურვის ჩათვლით. საქართველოს მთავრობამ მიღებული ზომების ეტაპობრივი გაუქმება 2020 წლის მაისის ბოლოდან დაიწყო. 2020 წლის ნოემბერში, COVID-19-ის აფეთქების მეორე ტალღის შემდეგ, საქართველოს მთავრობამ ხელახლა შემოიღო გარკვეული, ზემოაღნიშნული შეზღუდვები.

საქართველოს მთავრობამ, COVID-19-ის პანდემიის საპასუხოდ გარკვეული ზომები მიიღო დაზარალებული ბიზნესების და, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკის მხარდასაჭერად. კერძოდ, 2020 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო შეღავათი 2019 წლის ქონების გადასახადისთვის სასტუმროების სექტორში ჩართული ბიზნესებისთვის. ზემოხსენებული შეღავათი ასევე ეხება იჯარით აღებულ ქონებას, იმ პირობით, რომ ეს ქონება გამოიყენება სასტუმროების სექტორში საქმიანობისთვის. შედეგად, 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში დარიცხული ქონების გადასახადი შეიძლება ექვემდებარებოდეს შემცირებას 2019 წლისთვის კორექტირებული ქონების გადასახადის დეკლარაციის წარდგენით.

COVID-19-მა მყისიერი უარყოფითი გავლენა იქონია კომპანიის საქმიანობაზე. სასტუმრო დაიხურა 2020 წლის მარტში და ხელახლა 2020 წლის ივნისში შეზღუდული დატვირთვით გაიხსნა. კომპანიის მიმდინარე საოპერაციო და ფინანსური მაჩვენებლების გათვალისწინებით, ამჟამად ხელმისაწვდომ სხვა საჯარო ინფორმაციასთან ერთად, ხელმძღვანელობა მოელის COVID-19-ის პანდემიის უარყოფით გავლენას კომპანიაზე 2020 წლისთვის. თუმცა, მოსალოდნელია, რომ კომპანია თანდათან აღდგება და COVID-19 არ შეუქმნის მნიშვნელოვან რისკებს და გაურკვევლობას კომპანიის ბიზნესს. ხელმძღვანელობამ მოამზადა ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღიდან, სულ მცირე, 12-თვიანი პერიოდისთვის, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ გონივრულად შესაძლო უარყოფითი მოვლენათა განვითარებების გათვალისწინებით, კომპანიას ექნება საკმარისი ფულადი სახსრები თავისი ვალდებულებების შესასრულებლად, მათი დაფარვის ვადის დადგომისას, აღნიშნული პერიოდისთვის (იხ. შენიშვნა 2 (b)).

სოფიო კაპანაძე

ხელმძღვანელობა არ გამორიცხავს, რომ კარანტინის პერიოდის გახანგრძლივებას, მსგავსი ზომების სიმკაცრის ზრდას, ან მსგავსი ზომების შედეგად უარყოფით გავლენას ეკონომიკურ გარემოზე, ექნება უარყოფითი გავლენა კომპანიაზე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდებში. კომპანია ასევე ითვალისწინებს მოვლენების უარყოფით განვითარებებს და მზად არის შესაბამისად მოარგოს მისი საოპერაციო გეგმები.

ხელმძღვანელობა აგრძელებს სიტუაციის მონიტორინგს და მსგავსი მოვლენების და გარემოებების გავლენის შესამსუბუქებლად მიიღებს საპასუხო ზომებს (მათი მოხდენისთანავე).

(b) სხვა

2020 წლის განმავლობაში, შპს „წინანდლის სავანესგან“ მიღებული ფულადი შენატანები, მესაკუთრეების 2019 და 2018 წელს მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, 1,440,444 ლარს შეადგენდა (499,573 აშშ დოლარის ეკვივალენტური). 2020 წლის განმავლობაში გამოიცა დამატებითი გადაწყვეტილებები მესაკუთრეთა საწესდებო კაპიტალის 2,000,000 აშშ დოლარის ოდენობით გაზრდის შესახებ. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე უკვე შეტანილი იყო 6,066,628 ლარი (1,975,000 აშშ დოლარის ეკვივალენტური).

2020 წლის ივლისში სასტუმროს შენობის ნაწილი ხანძრის შედეგად დაზიანდა. კომპანიის ხელმძღვანელობა ზარალის ოდენობის შეფასების პროცესშია, რის შემდეგაც კომპანია სადაზღვევო კომპანიისგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას შეიტანს. იმის გათვალისწინებით, რომ ქონება დაზღვეული იყო, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული ფაქტი არსებით უარყოფით გავლენას არ მოახდენს სასტუმროს ფინანსურ მდგომარეობასა ან მომავალი საქმიანობის შედეგებზე.

2020 წლის მარტი–ივლისის პერიოდში, კომპანიამ გამოიყენა საშეღავათო პერიოდი, რომელიც შემოღებულ იქნა ქართული ბანკების მიერ სესხების დაფარვისთვის, COVID–ის პანდემიის გამო. 2020 წლის 29 ივლისს, კომპანიამ სს „თიბისი ბანკთან“ სესხებისა და კრედიტების დაფარვის ახალ პირობებზე აწარმოა მოლაპარაკებები (იხ. შენიშვნა 14). ხელშეკრულების პირობებში გათვალისწინებულია ძირი თანხის დაფარვის საშეღავათო პერიოდი, 2021 წლის იანვრამდე და პროცენტის დაფარვა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას იმ დროისთვის ექნება თავისუფალი ფულადი სახსრები. პროცენტის საშეღავათო პერიოდი გაგრძელდება 2021 წლის იანვრამდე, როდესაც საჭიროების შემთხვევაში, კომპანია უფლებამოსილი იქნება ბანკის მიერ პროცენტის შემდგომი რეფინანსირება მოახდინოს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2021 წელს მათ შეეძლებათ მოლაპარაკება აწარმოონ ბანკთან ძირი თანხის რეფინანსირების თაობაზეც (საჭიროების შემთხვევაში).

2020 წელს და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად ნებადართვის თარიღისთვის, კომპანიის შუალედური მშობელი კომპანიის რეორგანიზაცია მოხდა, რის შედეგადაც კომპანიას აღარ ჰყავს საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.

2020 წლის 20 მარტს, კომპანიამ, „Radisson Hotel Aps Danmark“-თან (ლიცენზიართან) „საერთაშორისო სალიცენზიო ხელშეკრულება“ გააფორმა. ამ ხელშეკრულების თანახმად, კომპანია იღებს ლიცენზიას "Radisson Collection Hotel" ბრენდის სახელის ქვეშ სასტუმროს ფუნქციონირებაზე, სასტუმროს ფუნქციონირებისთვის ლიცენზიარის მიერ განსაზღვრული ბრენდის მოთხოვნების შესაბამისად. ხელშეკრულების საფუძველზე, ლიცენზიის მოქმედების ვადა 2035 წლის 31 დეკემბრამდე განისაზღვრება. „საერთაშორისო მართვის ხელშეკრულება“ (შენიშვნა 1 (b)) წყდება 2020 წლის 1 აპრილს „საერთაშორისო სალიცენზიო ხელშეკრულების“ ძალაში შესვლისთანავე.

სოფიო კაპანაძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N200982245
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	02.12.2020 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ლანა მაჭავარიანი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქალაქი თბილისი , შ. რუსთაველის გამზ. N 46, სართული 2
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	(+995) 595 10 16 08
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	46351038855220

მე, ნოტარიუსი ლანა მაჭავარიანი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. #46, სართული 2-ში ვამოწმებ ინგლისური ენის დიპლომირებული მთარგმნელის სოფიო კაპანაძის (დაბადებული: 08.02.1991 წ, დაბადების ადგილი: ქ. თბილისი, პირადი ნომერი: 01008047830, პირადობის მოწმობა № # 113IL59605, გაცემულია 12.06.2015 წ., მცხოვრები: თბილისი, ამაშუკელის 16) ხელმოწერის სინამდვილეს წინამდებარე დოკუმენტის, ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე თარგმანს.თარჯიმანმა წარმოადგინა ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი: დიპლომი M № 19GE000656KAPS001G, გაცემულია 12.08.2019 წ., BRITISH COUNCIL, IELTS TEST მიერ, თარგმანმცოდნეობის საქმის (ინგლისური ენა) სპეციალობით.

მე, თარჯიმანი გავაფრთხილე თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოებებისა და იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს, თარჯიმანმა ჩემს წინაშე განაცხადა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყო ზუსტი თარგმანი. მისთვის ცნობილია, რომ პასუხსაგებს თარგმანის სისწორეზე და ხელი მოაწერა ჩემი თანდასწრებით.

გადახდილიასანოტარო მომსახურეობის საზღაური (წინამდებარე დოკუმენტი 1 ეგზემპლარზე შესრულებული 40 (ორმოცი) ხელმოწერის დამოწმებისათვის) 80 (ოთხმოცი) ლარი, (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს დადგენილების #507-ის 31-ემუხლისა), დარეგისტრაციის საფასური 2 (ორი) ლარი (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს დადგენილების #507-ის 39-ემუხლისა): _ სულ გადახდილია 82 (ოთხმოცდათორი) ლარი და 00 თეთრი.

ნოტარიუსი
ლანა მაჭავარიანი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

შეკერილია და დანომრილია

ფურცლად

ნოტარიუსი

ლანა მაჭავარიანი